რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 31 მარტი 1918 წ.

ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილი იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 74 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 74

კონსტანტინე ზურაბის ძე ფარცხალაძე, მეუღლე მისი სოფიო კარპოვის ასული და დები: ნინა და ოლღა ფარცხალაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ 28 მარტს საღამოს 8 საათზე გარდაიცვალა

აკაკი ზურაბის ძე ფარცხალაძე

პანაშვიდი 30, 31 მარტს საღ. 7 ს. გამოსვენება 1 აპრილს, კვირას დილის 10 ს. არკადიის ტუპ. № 1, ქვაშვეთის ეკლესიაში. დასაფლავება წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (3—2)

ღრმათ დამწუხრებული დედა ნამეტი, ძმები: ისიდორე, ტიტიკო, ილია, მოსე, დათიკო და კარლო, დები: ალისა, ანეტა და თამარა, რძლები: მარო, პაშა და ფუცუ თაკვაძენი, სიძე დათიკო შარაშიძე, ბიძა სიმონ ჯაყელი, ბიძაშვილები: მარიკო, მადლენა, მარსელი, შალვა და კატუშა ჯაყელი აუწყებენ ნათესავებს და ამხანაგებს, რომ ტრაღიკულად გარდაიცვალა თფილისის კომერციული სასწავლებლის მოწაფე

მიშა სილევანის ძე თალაკვაძე

მიცვალებულს გამოასვენებენ შაბათს 31 მარტს დილის 10 ს. ანჩიხატის სობოროდან. დასაფლავება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ინსტრუქცია სახლის კომიტეტებს

1) საჭიროა რაც შეიძლება მალე (1 აპრილამდე) მიიღოთ პური სახლის კომიტეტის მოთხოვნით. ამისთვის კი საჭიროა მოუწოდოთ მსურველთ შეერთდენ ჯგუფებათ პურის მისაღებათ.

2) საჭიროა გამოარკვიოთ, რომელი ფურნიდან გსურთ პურის მიღება და ამის და გვარად შეადგინოთ განცხადება უბნის სასურსათო კომიტეტის სახელზე ასეთი შინაარსის:

უბნის სასურსათო კომიტეტს.

სახლის კომიტეტი
უბნის — ქუჩა №

განცხადება

პატივი გვაქვს გთხოვოთ, რომ გასცეთ განკარგულება მისცენ პური სახლის კომიტეტის მოთხოვნით . . . . . ფურნიდან (ამდენი და ამდენი).

თავმჯდომარე.

3) საჭიროა მოთხოვნის ქაღალდები მიიღოთ უბნის საბარათო ბიუროში.

4) ხელმოწერილი განცხადება უმჯობესია თვითონ გაგზავნოთ აღნიშნულ ფურნეში და მეორე დღეს მოითხოვოთ პური მთელი ჯგუფისათვის.

5) საჭიროა თვითეულ ბინას პურისათვის ჰქონდეს საკუთარი პარკი, რომელზედაც გარკვევით და მსხვილი ასოებით უნდა იყოს აღნიშნული ბინის №-რი ან ბინის პატრონის სახელი და გვარი.

6) უნდა დაარსდეს მორიგეობა ბინებისა, თუ რომელი ბინა როდის წავიდეს პურის მოსატანათ და ამ მორიგეობის სია თვალსაჩინო ადგილას უნდა იქნას გაკრული.

7) მორიგე ბინა ვალდებულია პარკი და ფული მიიტანოს არა უგვიანეს საღამოს 8 საათისა.

8) სასურსათო ბარათების დარიგების დროს საჭიროა ყოველთვის შემოწმებულ იქნას სია ოჯახის შემადგენლობისა.

9) უბნის საბარათო ბიურო მხოლოდ სახლის კომიტეტებს აძლევს ბარათებს.

10) სახლის კომიტეტებმა ბარათების მისაღებათ უნდა წარადგინონ მოთხოვნის ქაღალდი, ძველი ბარათები და სხვა საჭირო დოკუმენტები.

(2—2) ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.

პურის ბარათები

ორშაბათიდან, 26 მარტიდან ყველა უბნის საბარათო ბიუროებში დაიწყება აპრილისათვის პურის ბარათების დარიგება.

პურის ბარათებს იძლევიან სასურსათო (შაქრის) ბარათის წარდგენის შემდეგ.

პურის ბარათების დარიგების დროს დროებით შეწყდება ახალი სერიის სასურსათო ბარათების (აპრილის, მაისის, ივნისის) მიცემა.

სახლის კომიტეტებმა კეთილ ინებონ და წინდაწინვე შეიძინონ პურის ბარათები სახლის ორგანიზაციის წევრებისათვის.

თვითეული პურის ბარათი ღირს 25 კაპ.

(5—4) ქალაქის გამგეობის საბარათო განყოფილება.

31 მარტს, საღამოს 7 საათზე ვერის რაიონის რ. ს. დ. მ. პ. კლუბი მართავს

სალიტერატურო საღამოს და ლექციას

მონაწილეობას მიიღებენ: თ. გოგოლაშვილი, ა. ლომთათიძე, თიგუნა, ნ. გოცირიძე, ვ. რუხაძე, ობოლი მუშა, ამირაჯიბი და ვ. ტუქიშვილი.

17 მარტისთვის ნ ყიდ ბილეთები გამოდგება. ახალი ბილეთები იყიდება კლუბში.

კვირას, 1 აპრილს (ახალ. სტილ. 14), დილის 10 საათზე, პუშკინის სახელობის შკოლის დარბაზში (ხარფუხი, 5 უბანი) დანიშნულია.

საერთო პატიული კრება

რ. ს. დ. მ. პ. ყველა წევრებისა, რომლებიც სცხოვრობენ მე-5 სამ. უბანში.

დღის წესრიგი:

1) მოხსენება მიმდინარე მომენტზე.
2) მოხსენება სახლების კომიტეტებზე.
3) წითელი გვარდიელების შესახებ.
4) არჩევნები მე-5 სამ. უბნის მცირე კოლექტივის წევრებისა.
5) მიმდინარე კითხვები.

ამხანაგებს თხოვენ იქონიონ თან საწევრო ბარათები, რომლების შეცვლა ახალზე უკვე შეიძლება. (2—1)

ევროპიული აბრეშუმის ჭიის თესლი (გრენა)

ბეხტესა და მანდალაკის ფირმისა—ფრანგული ყვითელი ჯიშის და Societé Sericicola de Provance ყვითელი და ბაღდადის ჯიშისა. (შემოწმებულია კავკასიის საბრეშუმო სადგურის მიერ). შემოხვეული აქვს კავკასიის საბრეშუმო სადგურის თეთრი ბანდეროლი. იყიდება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში (ბარიატინსკის ქ. № 5). (2—1)

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ რაზიკუდის ქუჩა, № 19.

შინაურ ფრონტზე.

ამიერ-კავკასიის დემოკრატია მთელი თავის ძალ-ღონით იბრძვის შინ და გარეთ რევოლიუციონურ მოპოვებათა შესანარჩუნებლათ. მაგრამ მას ორივე მხრით ბევრი მტერი ახვევია. შინ თითქმის ყველა პოლიტიკური მიმდინარეობა ახლა ცდილობს ექვეთოს ჩვენს პარტიას, რომელსაც დააწვა კისერზე საპასუხისმგებლო მუშაობა მთელი ამ რევოლიუციის განმავლობაში. გარედან შემოსეულ მტრის თვითეულ ნაბიჯს მეფისტოფელისებური ხითხითით ეგებებიან ის ბნელი ძალები, რომელთაც ყველაზე პირველათ ამიერ-კავკასიის დასაფლავება აქვთ სანუკვარ საგნათ გადაქცეული. რა უნდა ქნას ასეთ პირობებში ჩვენმა დემოკრატიამ?

კადეტებიდან დაწყებული—სოციალისტ-რევოლიუციონერების დიდი ნაწილით გათავებული—ყველა პოლიტიკური მიმდინარეობანი ახლა ცდილობენ ანგარიშის გასწორებას ამიერ-კავკასიის დემოკრატიასთან, რომელიც ამათ ლოზუნგებს არ გაყვა და ხხვა, უფრო სწორი და ნათელი გზა არჩია. ისინი ახლა მზათ არიან ამისთვის ყოველგვარ საშვალებას მიმართონ, თვით გამხრწნელ ბალშევიზმსაც კი შეუკავშირდენ თავის წვრილმან მიზნების მისაღწევათ.

რას გეუბნება ეს ფაქტი?

პოლიტიკურ ანარქიას, პოლიტიკურ ჯგუფებში იმ მიზნების გაჩენას, რომელიც დემოკრატიულ ფრონტს დანგრევას უქადის. ეს პოლიტიკანთა ჯგუფი ქმნის ფსიხოლოგიურ საფუძველს დემოკრატიის გათიშვისას და დემოკრატიის შიგნი ისეთ მდგომარეობას ქმნის, როცა მას რეაქციის დამარღვეველ გავლენის წინააღმდეგ ბრძოლა ერთი ათად გაუძნელდება.

ბალშევიკებს ტყვილა კი არ ეკურკურებიან ეს ჯგუფები. მათი სულიერი განცდა ამჟამად უახლოვდება იმ დამარღვეველ მუშაობას, რომელსაც ეს ბალშევიკები აწარმოებენ. დიახ ისინი მათ უმზადებენ ნიადაგს და ამით რეაქციის წისქვილზე ასხამენ წყალს.

გარეშე მტერიც სწორეთ ამით სარგებლობს, ამაში პოულობს ნიადაგს თავის იარაღისთვის გამარჯვების მოსაპოებლათ. აქ ეყრება საფუძველი იმ ამბებს, რომელიც ფრონტიდან მოდის და რომელიც თითქო ოსმალთა სიძლიერეს ამოწმებს. არა, ოსმალეთი კი არ არის ძლიერი, არამედ ჩვენი შინაური ფრონტი იწყებს დაშლას და დაქსაქსვას, დაუძლურებას.

აი ამაშია მთავარი საშიშროება და საფრთხე—დღევანდელ მომენტში. რეაქციონერთა და დემოკრატიულ ზომიერ წრეების ერთსულოვნება, ძველი რეჟიმის თაყვანისმცემელ აფიცრებისა და ზოგიერთი ვითომდა რევოლიუციონერის სულისკვეთების ერთობა—აი უტყუარი ნიშანი ამ საფრთხის.

განა რეაქციონერთ არ უჭირავთ თვალი გარეშე მტრისაკენ? განა იგინი არ აპირებენ ოსმალთა ხიშტებით თავის სოციალურ მდგომარეობის გამაგრებას?

ასეთ პირობებში დემოკრატიის ვალდებულებაა—მეტი სულიერი სიმხნევე გამოიჩინოს. დაე დიდიხნის ბრძოლით დაქანცული ვიყვეთ, მუშათა კლასმა არ იცის, რას ქვია დაქანცულობა, როცა გარედან და შიგნიდან საფრთხე ადგია მის წმინდათა წმინდას, მის დემოკრატიულ უფლებებს, მის თვითარსებობას.

დემოკრატიას, მუშათა კლასს, შეგნებულ გლეხობას ახლა მართებს სწორეთ მტკიცე ნების და შეუდრეკელი ენერგიის გამოჩენა. ახლაა საჭირო იმ სიმაღლეზე ასვლა, საიდანაც პირადი, ჯგუფური ინტერესები მეორე ხარისხოვან საქმეთ იქცევა და მთელი ყურადღება, მთელი ძალა საერთო კლასობრივ ინტერესების გარშემო იკრიბება. კითხვა დგას დემოკრატიის ყოფნა არ ყოფნაზე, რომელიც იმავე დროს არის ყოფნა არ ყოფნის საკითხი მთელი ხალხის, მთელი ქვეყნის და რევოლიუციის. აქ სულმოკლეობა და რყევა მომაკვდინებელი ცოდვა აა. ჭირსა შიგან ისე უნდა გამაგრება, ვით ქვიტკირსა. და ამ საერთო გახრწნილებისა და სულმდაბლობის ხანაში, უნდა დაამტკიცოს ამიერ-კავკასიის დემოკრატიამ მთელი სიძლიერე და სიმშვენიერე თავისი სულისა. დღესაა უკანასკნელი გამოცდა ჩვენი დემოკრატიისა მუშათა კლასის მეთაურობით. და იგი უნდა ახლა უფრო მჭიდროთ, უფრო ძლიერის ნებისყოფით შემოკრბეს თავის სანუკვარ დროშის გარშემო, რომელზედაც მისი გულიდან ამოხეთქილი წმინდა ლოზუნგებია წარწერილი.

მომავლის გზა განმტკიცდება ახლა, ან დიდი ხნით დაიხშება ჩვენთვის თავისუფალ-დემოკრატიული განვითარება, ან ახლა გაუმაგრდება საფუძველი, ან იგი დაიმსხვრევა და შემდეგ მის აშენებას ჩვენი მომავალი ასე ადვილათ ვერ მოახერხებს.

ერთსულოვნება, ჩვენი ბრძნული, ნაცადი მარქსისტული გზით კვლავ სიარული—აი ჩვენი ხსნის მთავარი საფუძველი. დაე სულმოკლენი ჩამოგვრჩენ, ვისაც ჩვენი გამამხნევებელი ხმაც ვერ გამოაღვიძებს, ჩვენ მაინც ვივლით წინ და ვიბრძოლებთ, სანამ გამარჯვებას არ მოვიპოვებთ.

ბალშევიკები ამიერ-კავკასიაში

ბალშევიკების ავანტიურამ ამიერ-კავკასიის განაპირა ადგილებში შესაფერი ნაყოფი გამოიღო. შაუმიანის მეოხებით მთელი ბაქოს მშრომელი კლასი ორ მოწინააღმდეგე ბანაკათ დაიყო და ძმათა შორის ბრძოლა გაჩაღდა. უტყუარ წყაროებიდან ვიცით, რომ ის აურებელი მსხვერპლი, რომელიც ბაქოს ტრაღედიამ შეიწირა—სხვადასხვა სამრეწველო დარგების მუშები არიან და მთელი ეს უბედურება პროლეტარიატს დაატყდა.

და ამას „ჭეშმარიტი სოციალისტები“ რევოლიუციის გაღრმავებას უწოდებენ და თავიანთ თავს „სოციალისტებათ“ სთვლიან. სამოქალაქო ომი კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის საქმეა და მის ინიციატორათ ყოველთვის გაბატონებული კლასები გამოდიან. თვით ბლანკი აღნიშნავდა, რომ 1871 წელს სამოქალაქო ომი ბურჟუაზიამ დაიწყო და ჩვენ იძულებული გაგვხადა იგი მიგვეღოვო.

რუსეთში და ამიერ-კავკასიაში კი ბალშევიკები უკუღმა იქცევიან: ყველგან სამოქალაქო ომის ინიციატორებათ თითონ გამოდიან და მთელ რუსეთის დემოკრატიას სისხლის მორევში ახრჩობენ. თავიანთ უტოპიური სოციალიზმის დასამყარებლათ თოფ-ზარბაზნებს ამუშავებენ და ამ გზით ცდილობენ ბატონობის ხელში ჩაგდებას. მაგრამ სოციალიზმის დამყარების მაგიერ ყველგან წარმოუდგენელი ანარქია გაბატონდა და მით რევოლიუცია უდიდეს საფრთხეში ჩავარდა. თუ რუსეთში ბალშევიკების მეოხებით ერთიანი დემოკრატიული ფრონტი დაირღვა და დემოკრატიის შორის ხოცვა-ჟლეტას ფართო ნიადაგი მოუმზადდა—აქ ამიერ-კავკასიაში ამ საერთო უბედურებას ზედ ემატება ეროვნული ბრძოლა და იგი კატასტროფულ ხასიათს ღებულობს. ეს აშკარათ დაგვანახვა ბაქოში მომხდარმა ტრაღედიამ, საცა ერთ მხარეს დადგა ბაქოს დემოკრატია და მეორე მხარეს სხვა დანარჩენ ეროვნებათა შეიარაღებული ძალები. ბაქოს ტრაღედიაში ბურჟუაზია უვნებლათ გადარჩა და მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიის სისხლი დაიღვარა. ამასთან უმთავრესათ თათარი მუშები დაიჟლიტენ და უკანასკნელები გახდენ ბალშევიკების კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლის მსხვერპლნი.

თავის-თავად საგულისხმოა, ამ გარემოებით ისარგებლებდენ თათრის შოვინისტები, თათრის ბეგ-აღალარები და მუსულმანებს საღმრთო ომისაკენ მოუწოდებდენ. უკანასკნელებმა მიზანს უკვე მიაღწიეს და ამიერ-კავკასიის სხვადასხვა კუთხეებიდან შეიარაღებული მუსულმანები ბაქოსაკენ დაიძრენ და კვლავ უნდათ აქ სისხლის მორევი დააყენონ. ეჭვს გარეშეა, ბაქოში თათრების შესვლა უფრო მეტ სისხლის ღვრას გამოიწვევს, თათარ-სომეხთა შეტაკება ფართო ხასიათს მიიღებს და ასეთი ნაციონალური შეტაკება მთელ ამიერ-კავკასიას მოედება. იწყება საშინელი ეროვნული ხოცვა-ჟლეტა და ეს ტალღა ამიერ-კავკასიის დანარჩენ ერებსაც წალეკვას უქადის. აი ის პერსპექტივა, რომელიც ამიერ-კავკასიის დემოკრატიას თვალწინ ეშლება. სწორეთ ახლა მართებს მას მეტი მუყაითობა და ენერგიული მუშაობა. ამიერ-კავკასიის დემოკრატიამ სოციალ-დემოკრატიული პარ. მეთაურობით თავს უნდა იდვას ეს მეტათ მძიმე მისია და არც ერთ მხარეს საშუალება არ მისცეს ბაქოში კვლავ განიმეორონ საშინელი სისხლის ღვრა. მხოლოდ იარაღით ამ ორი მოწინააღმდეგე ელემენტების დაწყნარება არ შეიძლება. ჩვენ აქ მხოლოდ იდეიური ბრძოლა საუკეთესო იარაღათ მიგვაჩნია და ვიმედოვნებთ, რომ იგი სასურველ ნაყოფს გამოიღებს, მით უმეტეს, რომ ახლა სოციალდემოკრატიულ პარტიას მეტი საშუალება აქვს ბაქოს დემოკრატიას დაანახოს ერთის მხრივ ბალშევიკების ავანტიურის კონტრ-რევოლიუციონური ტაქტიკა და მეორეს მხრივ ბაქოზე მოზღვავებულ მუსულმანთა ბრბოების საშიშროება. ბაქოს ყველა ეროვნების შეგნებულ დემოკრატიას უნდა განემარტოს დაწყებულ ომის საშინელება და იმედია სოციალდემოკრატია შესძლებს თავის გარშემო შეკრას ძლიერი დემოკრატიული მოძრაობა, რომელიც ორივე მოწინააღმდეგე საფრთხეს თავიდან აიცილებს. ბაქოს შეტაკება შიგნიდანვე უნდა აფეთქდეს და მხსნელი ძალები იქვე უნდა გამოიძებნოს. სწორეთ ახლა შეიძლება სოციალდემოკრატიული პარტია ავტორიტეტულ ძალათ გაიდაიქცეს, მარჯვნიდან და მარცხნიდან მოტანილი კონტრ-რევოლიუციონური მოძრაობა მოიგერიოს და შექმნას ის ძლიერი ძალა, რომელიც საბოლოოვოთ ბოლოს მოუღებს ბალშევიკებისა და თათრის ნაციონალისტების რევოლიუციის საწინააღმდეგო მოძრაობას. აი ის გზა, რომელიც ბაქოს დემოკრატიას და მასთან ერთად მთელ ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურ კლასებს ტრაღედიას თავიდან ააშორებს.

შავი გმირები

(ცხინვალის ამბების გამო).

მკითხველებს კარგათ ახსოვთ ამ ერთი კვირის უკან ცხინვალში მომხდარი ამბები. ოს-ქართველთა შეიარაღებული ბრბო, რომელსაც, სხვათა შორის, მეთაურობდა მთავრობის წარმომადგენელი, ცხინვალის კომისარი კულუმბეგოვი, მოღალატურათ დაეცა ცხინვალის დამცველ წითელ გვარდიას, ჩვენი საუკეთესო ამხანაგები დახოცა, სახლები და ვენახები გადასწვა და დიდძალი ქონება გაიტაცა და გაანადგურა. დღეს საკმაო ცნობები მოიპოვება იმის დასამტკიცებლათ, რომ ეს თავდასხმა წინდაწინ იყო მოწყობილი: სხვას რომ თავი დავანებოთ მარტო ტელეგრაფის მავთულების გადაჭრა აშკარათ მოწმობს ასეთ განზრახვას.

როგორ უნდა მოვქცეულიყავით ასეთს შემთხვევაში?

ან უნდა დაგვედასტურებია ის, რაც ცხინვალში მოხდა, ან და ბოლო მოგვეღო მისთვის.

ვინ იქნებოდა ისეთი ავაზაკი, რომ ეთქვა: თავი დაანებეთ ცხინვალის ყაჩაღებს და მეამბოხეთ, დეე ცხინვალი მათ ხელში დარჩესო.

მაგრამ გამოჩნდა ორი გმირი, რომელმაც ეს სთქვა და ამ შავმა გმირებმა სოციალისტ რევოლიუციონერთა ორგანო „ზნამია ტრუდა“-ს ფურცლებზე ჰპოვეს თავშესაფარი. ერთმა მათგანმა, ს. რ. ნიღაბს ამოფარებულმა, ოს გლეხების მოძრაობათ აღიარა ეს საშინელი ავაზაკობა, ხოლო მეორე, ბატონი პ. ტ—ევი კითხვას უკუღმა აყენებს და ვიღაცეებს აბრალებს ცხინვალის მოძრაობის ოსურ მოძრაობათ გამოცხადებას. ხოლო ორივე ერთად გმობს იმ ზომებს, რომლითაც აჯანყების ჩაქრობას ცდილობს ადგილობრივი მთავრობა.

მაშ კარგათ დაიხსომოს დემოკრატიამ, რომ სოციალისტ-რევოლიუციონერთა გაზეთი „ზნამია ტრუდა“ ყაჩაღების იდეოლოგობას კისრულობს, რომ ეს გაზეთი მის ღირსეულ თანამშრომელ პ. ტ—ევთან ერთათ ცეზარს ადარებს ამხ. ვ. ჯუღელს, რომელიც მშვიდობიან მცხოვრებლებს იცავს თავგასულ ყაჩაღებისაგან.

ან იქნებ დასაშვები არ არის ის საშუალებანი, რომლითაც ჯუღელის რაზმი აჯანყებულებს ებრძვის? ს. პ. ტ—ევს მოყავს ჯუღელის მოხსენება: „ჩვენმა ახალგაზრდა არტილერიამ სოფელი დაზოგა და იქიდან გამოსულ მოწინააღმდეგეს დაუშინა-“ო. და კითხულობს: „ვინ არის ეს მოწინააღმდეგე“-ო და თითონვე უპასუხებს: „ეს ცხინვალის რაიონის მცხოვრებლებია, ეს ქართველი და უმთავრესათ ოსი გლეხებია; ეს ის ოსებია, რომლებსაც რევოლიუციის დროს არც ერთხელ არ მიუყენებიათ რევოლიუციის ხელმძღვანელებისათვის უსიამოვნება უტაქტო გამოსვლით, ეს ის ოსებია, რომლებიც ასე ფრთხილათ ექცეოდენ მშრომელ დემოკრატიის საქმეს; და ბოლოს ეს ის ოსებია, რომელნიც მენშევიკურ პარტიის დემაგოგების მიერ მოტყუებულები და გზა დაბნეულები მუდამ ჯუღელის და მისი ამხანაგების პარტიას აძლევდენ ხმას“. ეს ამონაწერი უნებლიეთ გვაგონებს კომისარ კულუმბეგოვის განცხადებას მიტინგზე—კმარა ცარიელი დაპირებაო—ამ განცხადებას და ხელების დაქნევას მაშინ მთებიდან სროლა მოყვა. გარდა ამისა უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორეთ ოსგლეხების წამქეზებელი ყოფილი სტრაჟნიკები ეწეოდენ დემაგოგიას, სწორეთ ისინი მიუთითებდენ ხალხს მიწემის დატაცების და თავად აზნაურობის გაძევების შესახებ და ამ დემაგოგიის წყალობით დაარწმუნეს ხალხი, რომ წითელი გვარდია მემამულეების დამცველიაო. ამ ნიადაგზე მოჰკლეს გიორგი მაჩაბელი და სანდრო კეცხოველი. ნუ თუ პ. ტ—ევმა არ იცის, რომ დემაგოგი ის არის, ვინც ცდილობს ბევრი დაჰპირდეს ხალხს. თუ ასე არ იყო, რათ ითხოვდენ პროვოკატორ ფილიშვილის და ხარებოვის გამოშვებას, ყაზიშვილის და სხვების გაძევებას.

ჩვენ გვაკვირვებს ბ. პ. ტ—ევის ცინიზმით აღსავსე დასკვნა: „მოძრაობა მხოლოდ და მხოლოდ წითელ გვარდიის წინააღმდეგ იყო მიმართულიო“. ეს ჩვენც ვიცით, მაგრამ, როცა წითელ გვარდიას ებრძვიან და ამ ბრძოლას ხალხის სახელით აწარმოებენ—რა არის ეს, თუ არა აღვირწახსნილი პროვოკაცია? რომელი სინიდისიერება და რიგიანობა აძლევს ნებას ბ. ტ—ევს ეს პროვოკატორები თავის მფარველობის ქვეშ მიიღოს? დასასრულ, ერთი საზიზღარი ჭორი, რომელსაც პ. ტ—ევი იმეორებს: ვითომ დიქტატორ ყაზიშვილის გადასაყენებლათ ამდგარიყოს ხალხი. რა დაუშავა ყაზიშვილმა მცხოვრებლებს? მან ერედვის გლეხების თხოვნით გადასწყვიტა სალდათებისთვის იარაღის აყრა. განა ასეთ მოქმედებას შეეძლო მთელი ხეობიდან შეიარაღებული ხალხისთვის მოეყარა თავი და სანგრებში ჩაესხა?

მეორე საზიზღარი ჭორი, რომელსაც პ. ტ—ევი იმეორებს, ის არის, ვითომ დელეგ-არ მიიღოს ჩვენებს. სწორეთ მეტისმეტმა ნდობამ დაღუპა მაჩაბელი და განა ჯუღელის რაზმს შეეძლო დელეგატების ლათაიებისთვის ყური ეგდო, როცა დელეგატებს უკან შეიარაღებული ბრბოები სანგრებში იჯდენ და სროლას განაგრძობდენ?

ჩვენ კარგათ გვესმის ბ. ტ—ევის და მისებრ სოციალისტურ ქურქში გახვეულ ნაციონალისტების სულის კვეთება: მათ აიყოლიეს ბნელი ხალხი, საშინელ ავანტიურაში ჩააბეს და ახლა ცდილობენ სხვებს მოახვიონ თავზე საკუთარი ცოდვები. მაგრამ ამაოთ: გამოფხიზლებული ხალხი მათ ჩქარა მოსთხოვს პასუხს და პ. ტ—ევის ამხანაგები მალე წარსდგებიან რევოლიუციონურ ტრიბუნალის სამსჯავროს წინაშე. და იმ ორმოში, რომელიც დემოკრატიისთვის ამოსთხარეს, თითონ ჩავვარდებიან.

რევოლიუციის მსჯავრი მათ არ ასცდებათ.

ბაქოს ტრაგედია

დაიწყო თითქოს შემთხვევით. ორმოცდაათ მუსულმანს იარაღი აყარეს. მოლებმა ერთმორწმუნეთ მოუწოდეს თავის დასაცავად. გაიმართა ბრძოლა. მიუხედავად ბალშევიკების სურვილისა შეტაკებამ ნაციონალური ხასიათი მიიღო. ერთის მხრივ მუსულმანები თავიანთი ბატონების მეთაურობით, მეორე მხრივ სხვა ერები და იმათ შორის სომხებიც ბალშევიკების წინამძღოლობით. როგორც გადმოგვცემენ, დაიხოცა მშრომელი ხალხი. ბურჟუაზია თითქმის არ დაზარალებულა. დღეს ბაქოს გარს არტყიან შეიარაღებული ლეკები, შახსევანები, გლეხი მუსულმანები ნაციონალისტების მეთაურობით. მათი ბაქოში იარაღით შესვლა—ეს იქნებოდა მთელი ბაქოს განადგურება და დემოკრატიული ორგანიზაციების დასამარება. ამ სა-

ფრთხის წინაშე შეერთებულან. ბაქოში მენშევიკ-ბოლშევიკები. ისინი ერთად იცავენ ქალაქს. ჩვენდა საუბედუროდ, უძლურნი ვართ აქტიურად ჩავერიოთ ამ ბრძოლაში. ბაქოს დემოკრატიას დახმარებას ვერ გაუწევთ. მთელი ჩვენი ძალა ბათუმ-ყარსისკენ არის დაგროვილი და ოსმალეთის შემოტევა ახალ ძალებს თხოულობს. საკმარისია ერთ წუთს დასუსტდეს ეს ფრონტი, რომ ოსმალეთის ჯარი ჩვენი ქვეყნის შუაგულ შემოიჭრება. როდესაც ჩვენ ხალხს ვუხსნიდით გაჭირვებას, ბოლშევიკურად მოაზროვნე ადამიანები ხელს გვიშლიდენ და ამტკიცებდენ, რომ საფრთხე არ არსებობს, ეს მოგონილიაო. დღესაც ბოლშევიკები, იმის მაგიერ, რომ დაგვეხმარონ საზღვრების დაცვის საქმეში, ჩვენ წინააღმდეგ აწარმოებენ ბრძოლას. თითქოს ჩვენ ვიყოთ კონტრ-რევოლუციონერები, ხოლო მომავალი ოსმალეთის ბატონობა ჩვენში იყოს სამოთხე ჩვენი ხალხისთვის. ამაზედ მეტი პოლიტიკური დაბრმავება ისტორიას არ ახსოვს.

მაგრამ დღეს ჩვენ ბაქოს ბოლშევიკები კი არ გვაინტერესებს. ჩვენ გვაღელვებს ბაქოს დემოკრატიის ბედი. მისი განადგურების შესაძლებლობა იწვევს ჩვენში უდიდეს მწუხარებას. საჭიროა ყოველივე ღონის მიღება, რომ მომავალი უბედურება ბაქოს ავაცდინოთ. ამიერ-კავკასიის დემოკრატიამ უნდა მოსთხოვოს ორივე მხარეს შესწყვიტოს სამხედრო მოქმედება და შეთანხმებით მოაგვაროს საქმე. ომის გაჩაღება ბაქოს მიდამოებში ნიშნავს ამიერ-კავკასიის ცეცხლის ალში ჩაგდებას, ეროვნული ბრძოლის გაჩაღებას.

ასეთ ატმოსფერაში სწარმოებს ბრძოლა. ზოგან ამ ბრძოლას სოციალური ხასიათი აქვს. ზოგ ადგილას ყაჩაღების ბრბო ებრძვის მშვიდობიან მცხოვრებთ. ზოგან ბრძოლა ნაციონალურ ხასიათს ღებულობს. არის შემთხვევა, როდესაც სოციალისტურ დროშის ქვეშ იმპერიალისტური ლტოლვილების წრეებიც ირაზმებიან. ასეთი საბედისწერო დროს ოსმალეთის ჯარიც ჩვენ ქვეყანას ემუქრება. ჩვენი მიზანი უნდა იყოს შინაურ ფრონტზე ყოველივე სისხლის ღვრის შეჩერება და უდიდესი საფრთხის—გარეშე მტრის წინააღმდეგ დარაზმვა. თუ ასე არ მოხდა, ოსმალეთის ფაშები გასრესენ როგორც ბოლშევიკებს ისე მენშევიკებს და არ დაინდობენ საერთოდ სოციალისტებს.

ბ. თეკლათელი.

საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან

(მთავრობის ცნობა)

28 მარტს ამიერ-კავკასიის მთავრობამ საშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარესაგან მიიღო მთელი რიგი მეტად საყურადღებო ცნობებისა. ვინაიდან მთავრობის თავმჯდომარე ე. გეგეჭკორი, ნოე ჟორდანია, ირ. წერეთელი და ნ. ჩხეიძე თფილისში არ იმყოფებოდენ, მხოლოდ ღამით აცნობეს მათ დეპეშები პირდაპირი მავთულით ამიერ-კავკასიის რკ. გზის ერთ-ერთ სადგურზე. ღამის ორ საათზე ამ სადგურზე თავი მოიყარეს ნოე ჟორდანიამ, ირ. წერეთელმა, ე. გეგეჭკორმა და ნ. რამიშვილმა. მოხ. და საგანგებო თათბირი, რომელზედაც მიღებულ იქნა მთელი რიგი მეტად საყურადღებო დადგენილებებისა. ეს დადგენილება ეცნობა ტრაპიზონში. 29 მარტს დილით მთავრობის თავმჯდომარის სახელზე ა. ი. ჩხენკელისაგან კიდევ მიიღეს ერთი დეპეშა, რომელიც შეიცავდა ცნობას ერთ მეტად საყურადღებო და გადამჭრელ ნაბიჯის შესახებ, რომელიც გადაუდგამს დელეგაციას 28 მარტს, საღამოს 9 საათზე. ამ გადამჭრელი ნაბიჯის შინაარსი სულ ახლო მომავალში გამოქვეყნდება, ჯერ-ჯერობით კი შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაბიჯი სამშვიდობო მოლაპარაკების შეწყვეტას არას შემთხვევაში არ მოასწავებს.

კავკასიის ფრონტი

(ოფიციალური ცნობა)

29 მარტი.

შავი ზღვის პირად 28 მარტს ჭოროხის, ჩაქვის და ქობულეთის რაიონებში სროლა იყო. საციხოვნო არტილერია პასუხს აძლევდა მტრის საარტილერიო სროლას. ორთა ბათუმის მხრიდან ჩვენს საციხოვნო პოზიციებს ადგილობრივ მცხოვრებთა სახლებიდან თოფებს ესვრიან და აგრეთვე ერგეს მთიდანაც ზარბაზნებიდან ისვრიან.

29 მარტს ჩვენმა ჯარის ნაწილებმა დასტოვეს ხეჩო-ქედის და კაია-დიბის გამაგრებული პოზიციები და შემდეგ გამაგრებულ ხაზზე გაჩერდენ.

სარაყამიშის მიმართულებით 27 მარტს კამიშლის რაიონში მდ. კეკიაჩის მარჯვენა ნაპირად ჩვენმა ჯარმა ბრძოლით დაიკავა მაღლობები. მტერმა დაიხია ბელიუკ ბაშკეის მიმართულებით. ელ-კეჩმესიდან 3 ვერსის მოშორებით ჩვენმა ჯარმა მტერი გარეკა და დაიკავა საიდლარის მაღლობი.

სოხუმის ამბები

28 მარტს სოხუმიდან თფილისში ჩამოსულმა პირმა შემდეგი გვიამბო: როცა მარტის პირველ რიცხვებში ბოლშევიკებმა ხელში ჩაიგდეს გაგრა, სოხუმის საოლქო შტაბმა მიიღო ზომები გაგრიდან მათ გასადევნათ. მაშინ ბოლშევიკების რაზმი ორი,—ზარბაზნითა და ტყვიისმფრქვეველებით გამაგრდა ახალ ათონში. ჩვენი რაზმი, რომელიც უმთავრესათ აფხაზებისა და წითელ გვარდიელებისაგან შესდგებოდა, გაეშურა ბოლშევიკების შესახვედრათ, მაგრამ ვინაიდან ბოლშევიკების რაზმში აფხაზებიც შედიოდენ, ჩვენ ეჭვი შეგვეპარა, წავიდოდენ თუ არა აფხაზები აფხაზების წინააღმდეგ და ჩვენი რაზმი უკან გამოვიწვიეთ. ამის შემდეგ საქმის გამოსარკვევათ ჩვენ გავუგზავნეთ ბოლშევიკებს აფხაზებისაგან შემდგარი დელეგაცია. ბოლშევიკებმა გვიპასუხეს, რომ ყველა რაიონებს, გარდა კოდორისა, სურთ აღიარონ საბჭოთა მთავრობის ძალა-უფლება, რომ 28 მარტს მოხდება კოდორის რაიონის გლეხთა ყრილობა, სადაც ბოლშევიკებიც გაგზავნიან თავის წარმომადგენელს და დაარწმუნებენ გლეხებს, — აღიარონ სახალხო კომისართა საბჭო და რომ 28 მარტამდე ისინი, ბოლშევიკები, არ ფიქრობენ სოხუმისაკენ გალაშქრებას. მიუხედავათ ამისა, ჩვენ გავიგეთ, რომ ბოლშევიკების აგენტები მიდიოდენ სოხუმის სამხრეთ ნაწილში და განაპირა უბნებში მცხოვრებ მეგრელებთან, აგროვებდენ შეიარაღებულ ძალებს და მოუწოდებდენ მათ დაეწყოთ შეტევა. ამის გამო ჩვენ მივიღეთ ყოველივე ზომები თავის დასაცავათ. ჩვენს ძალას წარმოადგენდა 200 კაცისაგან შემდგარი რაზმი (უმთავრესათ აფხაზები), 2 ბატარეია და ტყვიისმფრქვევლები. ორი ფრონტის დასაცავათ მოგვიხდა ამ უმნიშვნელო ძალის ორათ განაწილება. 25 მარტს, დილის 11 ს., მეგრელებმა სომხებთან ერთად დაიწყეს შემოტევა. ჩვენ გავუწიეთ წინააღმდეგობა დილის 4 საათამდე. შემდეგ უკან დავიხიეთ, ვინაიდან ჩვენმა შტაბმა გადასწყვიტა გადაეცა მათთვის ძალა-უფლება, რადგანაც წინააღმდეგობის გაწევას არაფერი სარგებლობის მოტანა არ შეეძლო, ისინი ბევრი იყვენ. ბოლშევიკები 26 მარტს დილით შემოვიდენ სოხუმში, დაიკავეს ტელეგრაფი, ფოსტა და მთავრობის სხვა დაწესებულებები და დაადვეს ქალაქს 2 მილიონი კონტრიბუცია. სენაკში მათ გამოგზავნეს დეპეშა,—სოხუმი ავიღეთ და ამ დღეებში წავალთ ფოთშიო. აფხაზებისაგან შემდგარი ჩვენი რაზმი მამაცურათ იბრძოდა. როგორც სჩანს, ეს შემოტევა საერთო გეგმის ნაწილი იყო, ხელმძღვანელობდენ მას ჩრდილოეთიდან მოსული ბოლშევიკები. ბოლშევიკებს აქვთ მოწყობილება და ფული, რომელიც მიუღიათ პეტროგრადიდან, ვითომდა შავი ზღვის რკინის გზის გასაყვანათ. თვითეული ბოლშევიკი ჯარისკაცი დღეში 20 მან. იღებს. სოხუმის მოქალაქენი არ ეკიდებიან თანაგრძნობით ბოლშევიკებს.

(„ბ.")

ახალი ამბები

საქართველოს ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექციის სხდომაზე 23 ამ თვეს, რომელზედაც მოწვეულ იყვნენ სხვა და სხვა დაწესებულების წარმომადგენელნი დადგენილ იქმნა, რომ ყველა დაწესებულებებში შემოღებულ იქმნას ყოველთვიური გადასახადი არა ნაკლებ ჯამაგირის ერთი პროცენტისა საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფონდის გასაძლიერებლათ. თელავის გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭოს თავის კრებაზე 8 მარტს ამა 1918 წ. დაუდგენია გადაიდოს 2 პროც. გიმნაზიის ყველა მასწავლებელთა და მოსამსახურეთა ჯამაგირიდან საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფონდის გასაძლიერებლად.

◆ **საძმო სასაფლაო.** თფილისის თავდაცვის კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე დაუთმოს 3,000 კვ. საჟენი მიწა ხუდადოვის ბაღში, რომ იქ მოაწყონ წითელგვარდიელებისთვის საძმო სასაფლაო. ქალაქის გამგეობა პრინციპიალურათ დასთანხმდა მისცეს მიწა და კომისია შეადგინა, რომელმაც უნდა გამოჰყოს ეს მიწა.

◆ **მაღაროების დახურვა.** ამიერ-კავკასიის მთავრობამ დაადგინა—დახუროს ტყიბულის და ნახშირას მაღაროები და თვითეულ წარმოებაში დასტოვოს მხოლოდ ას-ასი მუშა. ამ დღეებში იქ სალიკვიდაციო კომისია მიემგზავრება.

◆ **ცხენების მობილიზაცია.** შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით თფილისში ცხენების მობილიზაცია გამოცხადდა.

◆ **სალიტერატურო საღამო.** დღეს რ. ს.-დ. მ. პ. მეოთხე რაიონის კლუბში (ვერაზე უდელნი ქუჩა, მეექვსე გიმნაზია) გაიმართება სალიტერატურო საღამო. ლექციას წაიკითხავს ალ. ლომთათიძე. შემდეგ სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ: თ. გოგოლაშვილი, თაგუნა, ნ. გოცირიძე, ვ. რუხაძე, ირეთელი, ტუქსიშვილი, იბერიელი მუშა და სხვები. სკრიპკაზე დაუკრავს მუსიკალურ სასწავლებლის მოსწავლე ამირაჯიბი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე. 7 მარტისთვის აღებული ბილეთები გამოდგება. ბილეთები იყიდება კლუბში.

◆ **მილიციონერის დაჭრა.** 29 მარტს საღამოს 7 საათზე, ჯანაშვილის სასადილოში მძიმეთ დასჭრეს სისხლის სამართლის უმცროსი მილიციონერი ევტიხი ჯაკობია. ბოროტმოქმედნი დიმიტრი ჯანაშვილი და ვიღაც უცნობი სახელათ „მიხო" გაიქცნენ.

◆ **საადგილ-მამულო რეფორმა.** დუშეთის მაზრაში ხარჯის ამკრეფ ინსპექტორმა უკვე წარუდგინა სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტს ჩამოსართმევ მამულების სია.

◆ **კახეთის რკინის გზის** ადმინისტრაციის ცნობით სოფელ კონდოლის მცხოვრებნი არ ანებებენ ადმინისტრაციას ააშენოს მე-136 ვერსზე კედელი ნიაღვრის თავიდან ასაცილებლათ. ადმინისტრაცია სთხოვს გზათა მინისტრს მიიღოს სასწრაფო ზომები.

◆ **ცეცხლი.** 30 მარტს ღამით სურპ-კარაპეტის ხევთან დანდუროვის სახლს გაუჩნდა ცეცხლი. დაიწვა სამი სახლი.

◆ **მკვლელობა.** 29 მარტს, დილის 6 საათზე, ვორონცოვის ქუჩაზე მიმავალ მუსულმანებს თავს დაესხნენ ვიღაც შეიარაღებულნი და აუტეხეს სროლა. მოკლეს მამედ-გაშიმ ოღლი, მძიმეთ დასჭრეს ამირაგ-ოსმან ოღლი.

◆ **სომხის** ნაციონალურ საბჭოს დადგენილებით უნდა დაიკეტოს სომხის ყველა საშუალო და დაბალი სასწავლებლები. მასწავლებლები კი უნდა გაწვეულ იქნენ ჯარში.

◆ **თფილისის მილიციის უფროსი** უბრძანებს მილიციონერებს, რათა მათ თვალყური ადევნონ, რომ სასადილოები და სახაიები იკეტებოდეს არა უგვიანეს ღამის 11 საათისა. თუ შეამჩნიეს, რომ სასადილოებში მაგარ სასმელებს ჰყიდიან, მაშინვე დაიჭირონ პატრონები და დუქნები დაუბეჭდონ სამუდამოთ.

◆ **დაიკარგა** 27 მარტს ივანე სტეფანეს ძე გარიბოვი—65 წლის. თუ ვინმემ რაიმე იცით, გთხოვთ შეგვატყობინოთ. სურპ-სარქისის ქუჩა № 21 მეწვრილმანის დუქანში არტაშ გარიბოვს.

◆ **ლტოლვილები.** რკინის გზის მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე მალანია შემდეგს ატყობინებს ქალაქის თავსა და გზათა მინისტრს: თფილისის სადგურზე თავი მოიყარა აუარებელ ლტოლვილებმა, რომლებიც მოდიან როგორც სამხრეთიდან, ისე დასავლეთიდან. რკინის გზის ადმინისტრაციის ცნობით კიდევ მოდიან ლტოლვილები ბაქოს მხრიდან ორი მატარებლით და ბათუმიდან ერთი მატარებლით. ლტოლვილებმა დაიჭირეს ბაქანი და სადგურის ყველა შენობები. ლტოლვილთა ასეთი შეჯგუფება მეტათ საშიშია: შესაძლებელია გაჩნდეს ცეცხლი ან გავრცელდეს ავათმყოფობა. სახადით ავათმყოფობას უკვე ჰქონდა ადგილი. გთხოვთ დაჩქარებით მიიღოთ ზომები, რომ სადგურის შენობები დასცალონ და ლტოლვილები სხვა შენობებში მოათავსონო.

◆ **პარტიული კრება.** კვირას, 1 აპრილს, დილის 10 საათზე, პუშკინის სახელობის შენობაში (ხარფუხი, მე-5 უბანი) შესდგება საერთო პარტიული კრება რ. ს. დ. მ. პ. ყველა წევრებისა, რომლებიც ცხოვრობენ მე 5 სამილიციო უბანში. განსახილველია მოხსენება მიმდინარე მომენტზე, სახლების კომიტეტებზე, არჩევნები მცირე კოლექტივის წევრებისა და სხ.

◆ **„აღორძინება".** კვირას, 1 აპრილს დილის 10 საათზე სახალხო უნივერსიტეტის შენობაში დანიშნულია მომხმარებელ საზოგადოების „აღორძინების" კრება. დღის წეს-რიგია: 1917 წლ. მოგების განაწილება; 1918 წლ. ხარჯთ-აღრიცხვა; მიმდინარე საკითხები, საზოგადოების საადმინისტრაციო წევრების არჩევა.

◆ **წარმოდგენა.** დღეს, 31 მარტს ყოფილ სამხედრო სასწავლებელში (მიხეილის პროსპექტი, აპოლოს პირდაპირ) ქართულ საპიორის ბათალიონის სასარგებლოთ გაიმართება წარმოდგენა საღამოთი. წარმოდგენილი იქნება „და-ძმა". შემდეგ წარმოდგენისა გაიმართება საღამო. დაუკრავს სამხედრო მუსიკა. ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია. ბილეთები იყიდება დარბაზის შესავალში. დასაწყისი სრულ საღამოს 8 საათზე.

კრებები და მიტინგები.

2 აპრილს, საღამოს 5 ს., ავლაბრის კლუბის საზამთრო შენობაში (კახეთის მოედანი № 1), დანიშნულია ავლაბრის მუშათა პოლიტიკურ კლუბის წევრთა კრება. იქვე შეიძლება წევრათ ჩაწერა. დასწრება შეუძლია ყველა მუშებს.

— დღეს, საღამოს 4 საათზე ბიუროს ბინაზე შესდგება რ. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის ამხანაგ და თანამგრძნობ ქალთა კრება.

— დღეს, 31 მარტს, საღამოს 7 ს., მესამე გიმნაზიის ბინაზე შესდგება სოციალისტ-რევოლიუციონერთა კრება. განსახილველია ფრიად საყურადღებო კითხვები. პარტიის წევრები ვალდებული არიან გამოცხადდენ.

ქალაქის საბჭოში

(29 მარტის სხდომა).

თავმჯდომარეობს იაკჯიანი.

დ. პოპოვი აკეთებს მოხსენებას სასურსათო საკითხის შესახებ. უკანასკნელ 3—4 დღის განმავლობაში,—ამბობს მომხსენებელი,—მცხოვრებნი უკმაყოფილებას გამოსთქვამენ ჩვენ მიერ მიწოდებულ პურის უვარგისობის გამო. ქალაქის თვითმართველობას არა აქვს საშუალება შეიძინოს ხორბალის ფქვილი, არის მხოლოდ სიმინდისა და ქერის ფქვილი. კავკავიდან ხორბლის ფქვილის გამოტანის ნებას არ იძლევა ადგილობრივი მთავრობა. სპეკულიანტებიც კი ვერ ახერხებენ მის შემოტანას. ასეთ შემთხვევაში ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ ჩვენ ვფიქრობთ მცხოვრებთ მივსცეთ ფქვილი და თვითონ გამოაცხონ პური, რომ დარწმუნდენ — სიმინდისა და ქერის ფქვილიდან უკეთესი ღირსების პურის გამოცხობა შეუძლებელია. ვისაც არ შეუძლია სახლში გამოაცხოს პური, იმას ისევ ჩვენ მივყიდით პურს; ამასთანავე მივმართავთ პურის მცხობელ მუშებს მიიღონ ყოველივე ზომა და პური უფრო კარგი ღირსების გამოაცხონ.

რკინის გზით სურსათის შემოტანის იმედი არ არის. შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს სამხედრო გზით სურსათის შემოტანა. კავკავში ამ ჟამათ 150 ათასი ფუთი ხორბალი გვაქვს შეძენილი. ცოტა ქერიც შევიძინეთ. 1,500 ფუთი ხორბალი შევიძინეთ ადგილობრივ ამიერ-კავკასიის ბაზარზე. ფინანსიურ კომისიისა და გამგეობის შეერთებულ სხდომამ განიხილა საკითხი, თუ რა საშუალებებით უნდა დაფაროს ქალაქის თვითმართველობამ ზარალი. დაადგინეს, ვინაიდან ამისთვის საჭირო 18—20 მილიონი მან. შოვნა დღევანდელ პირობებში ძნელია, შეძლებულ კლასებს პური უნდა მიეყიდოს იმ ფასში, რამდენათაც იგი თვით ქალაქის თვითმართველობას უჯდება. მცხოვრებნი უნდა გაიყოს ორ კატეგორიათ: პირველ კატეგორიის პირთ პური უნდა მიეცეს დღევანდელ ფასებში, მეორე კატეგორიისას — გადიდებულ ფასებში. მეორე კატეგორიაში შედიან: 1) 15 ათას მან. ზევით ღირებულ უძრავ ქონების პატრონი; 2) ისეთ წარმოების პატრონი, სადაც დაქირავებულ შრომას მიმართავენ; 3) ყველა სავაჭრო დაწესებულებათა პატრონები; 4) ისეთი ოჯახი, რომელიც შესდგება არა უმეტეს 5 წევრისა და რომლის შემოსავალი თვეში 800 მ. აღემატება; 5) ვისაც აქვს არა ნაკლებ სამი ათასი მანეთისა; 6) ვინც აქირავებს არა ნაკლებ ორი ოთახისა; 7) ვინც ეწევა საქონლის გადატან-გადმოტანას და ჰყავს არა ნაკლებ ოთხი ცხენისა ან აქვს ავტომობილი; 8) საკუთარ ეტლებისა და ავტომობილების პატრონები; 9) ვისაც აქვს დაქირავებული არა ნაკლებ 5 ოთახისა.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მას მიმართა რამდენიმე დელეგაციამ. ერთი მათგანი მოითხოვდა თეთრი პუ-

სახელმწიფო და კომუნა

(გაგრძელება იხ. „ერთობა" № 73).

IV

ინგლისი.

თვითმართველობის უფრო მეტათ დემოკრატიული ორგანოები არსებობს ინგლისში. ინგლისის კანონმდებლობის და მართვა-გამგეობის ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ ადგილობრივ არავითარი სახელმწიფოებრივი მთავრობა არ არის. ინგლისში არ არის ადგილობრივი შინაურ მართვა-გამგეობის ორგანოები, რომლებსაც უხელმძღვანელებს და რომლების მოქმედებაში ერევიან ცენტრალურ მთავრობის წარმომადგენლები. ინგლისში არ იციან ისეთი თანამდებობის პირნი, როგორც საფრანგეთის პრეფექტებში ან პრუსიის ლანდრატები ან ობერ-პრეზიდენტები. არა მარტო ის მიზნები, რომლებიც სხვა სახელმწიფოში კომუნალურ მიზნებათ ითვლებიან, არამედ ისეთიც, რომლებიც ყველგან ადგილობრივ მთავრობის ორგანოების ხელშია, ინგლისში ადგილობრივ თვითმართველობათა მოქმედების ფარგალში შედის. ინგლისში ადგილობრივ მართვა-გამგეობის სათავეში მდგომი მერი, საგრაფოების საბჭოთა და სამრევლოთა თავმჯდომარენი ისეთ კომუნალურ და სახელმწიფოებრივ მოხელეთა როლს არ ასრულებენ, როგორც ნემეცთა ბურგომისტრი ან საფრანგეთის მერი.

იგინი არიან ადგილობრივ თვითმართველობათა კორპორატიულ დაწესებულებების მიერ არჩეულნი. რამდენათაც მათ მდგომარეობასთან დამოკიდებულია მომრიგებელ მოსამართლის მოვალეობის ასრულება, იგინი ამ მხრით დამოუკიდებლობით სარგებლობენ (კაუფმანი ტ. I გვერ. 45—46).

ინგლისში ძირითადი კომუნალური ერთეული სამია: სამრევლო, საგრაფო და ქალაქი, რომლებიც ირჩევენ თავიანთ წარმომადგენლებს.

1894 წლის კანონით ყოველ სამოქალაქო სამრევლოში (რომელიც ქალაქის ოლქშია) კომუნის კრება არის გადამწყვეტი ორგანო; ის იკრიბება არა ნაკლებ წელიწადში ერთხელ და ამ კრებაში მონაწილეობას იღებს კომუნის ყველა ამომრჩეველნი (ქალებიც) კომუნის (სამრევლოს) კრება, უკეთუ კომუნაში 300 და მეტი მცხოვრები შედის *), ირჩევს სამი წლით სამრევლოს საბჭოს, რომელიც შრომობს კომუნის საზოგადო საჭიროებისათვის და განაგებს ყველა მის საქმეებს გარდა საეკლესიო საქმეებისა.

მის განკარგულებაში არის სამრევლოს ქონება, მას ადგილობრივ მართვა გამგეობის საბჭოს (ცენტრალური მთავრობის ორგანო) თანხმობით უფლება ეძლევა დააწესოს გადასახადები და ამ საბჭოს და საგრაფო საბჭოს ნებართვით უფლება აქვს სესხი აიღოს.

ცენტრალურ და საოლქო (საგრაფოები) ორგანოების ნებართვა მაშინ არის საჭირო, როცა ახალ გადასახადებს აწესებენ და სესხს იღებენ, იმ მოსაზრებით, რომ სახელმწიფოში საჭიროა ერთი საფინანსო გეგმა, რომელიც არ უნდა დაარღვიოს ცალკე კომუნებმა. კომუნა სარგებლობს იმავ წყაროდან, რომლიდანაც სახელმწიფო, მაშასადამე, ამ წყაროთი წესიერათ სარგებლობა შეიძლება ისეთ საფინანსო პოლიტიკით, რომელიც სახელმწიფოს და კომუნებს უყურებს როგორც ერთ განუყოფელ მთელს. ამიტომ თვით სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს კონტროლი გაუწიოს და ცენტრალურმა მთავრობამ დართოს ნება როცა ახალ გადასახადებს აწესებენ. რაც შეეხება სესხის აღებას, თუ იმით სარგებლობს კომუნა, ჩვეულებრივ შემოსავლის დანაკლისის შესავსებათ მას დაბრკოლება არ ელობება და ეჭვებს არ იწვევს. იმ მიზნების განსახორციელებლათ, რომლებსაც სახელმწიფო ავალებს კომუნებს, ან თვითონ კისრულობს ამას. კომუნას ნება ეძლევა ამ მიზნით აიღოს სესხი. ეს უფლება არის კანონში, რომლითაც ისაზღვრება კომუნალურ და ადგილობრივ მმართველობის ერთეულების ფუნქციები, ამასთან ეს უფლება ეძლევათ ან საზოგადო ფორმით მთელი მათი მიზნებისთვის ან ამათგან რომელიმე განსაზღვრულისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი უფლება ეძლევა ყოველ კერძო შემთხვევის დროს (კაუფმანი ტ. II გვ. 520). ასეთ შემთხვევებში, როცა კანონში არ არის აღნიშნული, კომუნამ ადგილობრივ მმართველობის საგარეო საბჭოდან უნდა მიიღოს ნებართვა სესხის აღების შესახებ.

ქალაქის თვითმართველობათა ორგანიზაცია ინგლისში ფრიად რთულია და მრავალფეროვანი, მაგრამ 1894 წლის კანონმა საშუალება მისცა კომუნას (მაშასადამე ქალაქსაც) გააერთიანოს და თვით აიღოს მრავალ-რიცხოვან დაწესებულებების მართვა-გამგეობა, რომლებიც ემსახურებიან კომუნალურ ცხოვრების სხვადასხვა დარგს

იმ ქალაქებს, სადაც 10.000—50.000-დე მცხოვრებელია, აქვთ საკუთარი მართველობა. ეს ქალაქები შედიან საგრაფოებში*) მაგრამ ამ ქალაქების საბჭოებს ქალაქის ფარგლებში ისეთივე უფლებები აქვთ, როგორც საგრაფოების საბჭოებს. ქალაქის საბჭო (ხმოსანთა კრება) ახდენს ქალაქის მთელი მართველობის ორგანიზაციას და მას ხელმძღვანელობას უწევს, იცავს ქალაქის ინტერესებს სასამართლოს და პარლამენტის წინაშე, ნიშნავს ადმინისტრატიულ კომისიებს, სცემს სავალდებულო დადგენილებებს და სხვა. საბჭო ირჩევს და ნიშნავს უმაღლეს თანამდებობის პირთ, რომლებიც ქალაქის მართველობის სხვადასხვა განყოფილებებს უდგანან სათავეში ან საპასუხისმგებლო ფუნქციებს ასრულებენ.

ქალაქის თვითმართველობის ორგანოების გაუმჯობესებით, გაფართოვდა ქალაქის საქმეებიც, ის საქმეები, რომლებისთვისაც წინათ დამოუკიდებელი სპეციალურ ორგანიზაციები იყო დაარსებული.

ინგლისის ყველა ქალაქებს აქვს დაბალ სისხლის და სამოქალაქო სასამართლოს უფლება და მერი ქალაქის მომრიგებელი მოსამართლეა. სხვა მსხვილ ქალაქებში ამ თანამდებობაზე ნიშნავენ პოლიციის მოსამართლეებს და უნიშნავენ ჯამაგირებს.

ქალაქის საბჭო (ხმოსნები) განაგებს ქალაქის ქონებას, აწერს გადასახადებს და იღებს სესხს. როცა ხალხის ჯანმრთელობისთვის საჭირო სესხს ღებულობენ, ამისთვის ქალაქის თვითმართველობისთვის საჭიროა ადგილობრივ მართველობის საბჭოს თანხმობა, სხვა შემთხვევაში კი საგანგებო საკანონმდებლო აქტი. ადგილობრივ მართველობის შესახებ სხვადასხვა კანონები უფლებას აძლევს ქალაქებს განსაზღვრულ მიზნით აიღონ სესხი, სახელდობრ, როცა ქალაქისთვის საჭიროა რაიმე შენობის აგება, წყლის გაყვანა, კანალიზაცია, განათება, წიგნთსაცავის დაარსება, ქუჩების გაკეთება-გამშვენიერება და სხვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოველგვარ სესხის აღების უფლებას, გარდა ცოტაოდენ გამონაკლისისა, ქალაქს აძლევს ადგილობრივ მართველობის საბჭო, მხოლოდ იმ აუცილებელი პირობით, რომ დამტკიცებული იქნება სესხის აღების მიზნის კანონიერება და განსაზღვრულ ფარგალს არ გადასცილდება. სესხის აღების ნებართვის შესახებ თხოვნასთან ერთათ ქალაქებმა უნდა წარუდგინონ საბჭოს, სესხის სრული გეგმა, ხარჯთ-აღრიცხვა და იმ წარმოების გეგმა, რომლისთვისაც სესხს იღებენ, და ბოლოს იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ძველი ვალები გადახდილია. სხვა მნიშვნელოვან შემთხვევების დროს თვალყურის მგდები ორგანო, ადგილობრივ ახდენს გამოძიებას თავის ინსპექტორების შემწეობით და ხანდახან აცხადებს საჭირო შესამოწმებელ ანკეტას, სადაც ყველა დაინტერესებულ პირთ შეუძლიათ თავიანთი აზრი განაცხადოს. ასეთი ადგილობრივი გამოძიებები (local inquiries) სავალდებულოა იმ შემთხვევებში, როცა ახალი სესხის აღება ან როცა სესხის ნებართვა პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს (კაუფმანი ტ. II გვ. 533).

ამგვარათ, ერთი მხრით სახელმწიფო უფლებას აძლევს კომუნებს თავისუფლად აიღონ სესხი, და მეორე მხრით ის [illegible] უზრუნველყოფს ადგილობრივ თვითმართველობას [illegible] საზარალო იქნება. [illegible] ინგლისში უზრუნველყოფილია [illegible] და შეიძლება ის ურისკოთ ფულის დაბანდება.

ქალაქის საბჭოს ხელშია მთელი გადასახადების საქმე; მათ აქვთ უფლება დაჰყონ თავიანთი ტერიტორია სხვადასხვა ნაწილებად და [illegible] სპეციალური გადასახადები [illegible] თვითმართველობათა [illegible] დამოკიდებული [illegible].

მსხვილი ადგილობრივი თვითმართველობის [illegible] ორგანიზაციების [illegible] სამრევლოების, ქალაქების და საგრაფოების თვითმართველობის ფარგლებში შეტანით. [illegible] იყო [illegible] ორგანიზაციები [illegible] იმ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რომლისთვისაც დაარსებული იყო სხვადასხვა ორგანიზაციები, იძულებული შეიქნა სახელმწიფო შეცვლილ და გართულებულ პირობების გამო, შეეცვალა ამ ორგანიზაციების ფორმა, შეეხამებია ის ახალ პირობებისთვის, და ხანდისხან მისი ფუნქციები სხვა დაწესებულებებისთვის გარდაეცა. ასე ვითარდებოდა ინგლისის კომუნალური ცხოვრება და ადგილობრივი თვითმართველობა [illegible] თანდათან [illegible].

სხვადასხვა მიზნებით სხვადასხვა საბჭოები, კომისიები და სხვა ორგანოები [illegible] ადგილობრივ მართველობის [illegible] ადგილობრივ [illegible] ცენტრალურ [illegible] ადგილობრივ [illegible] ამ მდგომარეობამ და აგრეთვე ისიც, რომ თვითეულ ადგილობრივ დაწესებულ-

---

*) თუ 300 ზე ნაკლებია საჭიროა საგრაფოს საბჭოს თანხმობა.

*) 50.000 მცხოვრებნი და ზოგიერთი პრივილეგიების მქონე ქალაქები დამოუკიდებელი საგრაფოებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირჩია კომიტეტი 30 კაცისაგან, რომელიც დარჩებოდა მოსკოვში და რომლის მოვალეობა იყო ხელი შეეწყო, რაც შეიძლება მალე, გადაეყვანა ქართველი მხედრები რუსეთიდან საქართველოში იარაღით ან უიარაღოთ. ყრილობამ დაავალა კომიტეტს გამოეყო თავის რიცხვიდან კომისარიატი (სამი კაცი), დელეგატები თფილისში ქართველ მხედართა კავშირის ცენტრალურ კომიტეტში (ორი კაცი) და საქართველოს ეროვნულ საბჭოს სამხედრო სექციაში (ერთი კაცი).

ყრილობას ჩამოსულ დელეგატებისას დიდი დახმარება გაუწია მოსკოვის ქართველმა საზოგადოებამ. ყოველი ხარჯები ყრილობისა გადახდილ იქნა „კოლონიის" საბჭოს მიერ ქართველთა შორის შეგროვილ ფულებიდან. 31 დეკემბერს მოსკოვში მოეწყო მხედართა კომიტეტის სასარგებლოთ ქართული საღამო, რომელმაც დასტოვა წმინდა შემოსავალი 26,600 მანეთი. ამით კომიტეტი შეუდგა მუშაობას, დაგზავნა ფრონტებზე ყრილობაზე ჩამოსული დელეგატები, რომლებსაც გაატანა მოწოდებები და დაევალა აგიტაციის გაწევა ქართველ მხედრებში, რომ ვინაიდან საქართველოს მთელის აწიოკება გარეშე მტერთაგან, ყოველი ქართველი მოვალეა გაეშუროს სამშობლოსკენ და თავისი სისხლით დაიცვას ის ყოველი საფრთხისაგან. ამავე მიზნისთვის შეიქმნა კომისარიატი, რომლის განკარგულებაში გადავიდა კომიტეტის ყველა წევრი, რომლებიც პრეზიდიუმში არ შედიოდა.

განზრახვა იყო ქართველი მხედრები გაეგზავნა სამ პუნქტში: ქ. ვენდენში, მე 12 არმიის ქართულ კომიტეტის განკარგულებაში 1-ლ ჩრდილოეთის ქართული პოლკის შესავსებათ; ქ. ოდესაში მე 40 სათადარიგო პოლკში, რომელიც ქართველებს გადაეცა და ქ. მოსკოვში, სადაც უნდა შეგვექნა პოლკები და ისე დარაზმულ-შეიარაღებულები გადაგვეგზავნა სამშობლოში, მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა გვიკარნახა: ბალშევიკური მთავრობა არამც თუ არ გვიწყობდა ხელს, არამედ თუ კი რითიმე შეეძლო, ხელს გვიშლიდა ამ საქმეში. ამას გარდა, მოსკოვში უსურსათობის გამო ისე გაჭირდა ცხოვრება, რომ არა თუ პოლკების და საეტაპო პუნქტების შენახვა, კომიტეტის წევრების შენახვაც გასჭირდა. იარაღზე ხომ მტკიცე უარი გვტკიცეს და როგორც ზევით ვსთქვით, მოცემულიც წაართვეს ჩრდილოეთის პოლკს.

ამიტომ კომიტეტი მისი კომისარიატის და ფრონტებზე დაგზავნილ დელეგატების საშუალებით შეუდგა ქართველების გამოგზავნას როგორც ეს მოსახერხებელი იქნებოდა: იარაღით თუ უიარაღოთ, რაზმებათ თუ ცალკ-ცალკე.

იანვრის ბოლო რიცხვებში გამოირკვა, რომ ფრონტებზე ძლიერ ცოტა დარჩა ქართველი მხედარი და ისიც დემობილიზაციის მოხდენის შემდეგ ერთიანათ წავიდა იქიდან; როგორც გამოირკვა, ჯარისკაცების უმრავლესობამ თურმე რუსეთის დიდ ქალაქებში შეაფარა თავი.

კომიტეტმა განიზრახა ზომების მიღება ასეთი პირების დიდი ქალაქებიდან გამოსაგზავნათ და აგრეთვე როგორმე აციით თუ მოწოდებებით თუ სხვა საშუალებებით აფიქრებინოს წა ლა სამშობლოს დასახმარებლათ არა არ ქართველებსაც, რა მიზნადაც ტეტმა გამოსცა რამდენჯერმე მო ები რუსეთში მყოფ და კერძოთ ში მყოფ ქართველობის მიმართ. საც კომიტეტმა გაიგო რუ'ულ იდან ცნობა ამიერ-კავკასიაში ზაციის გამოცხადების შესახებ, თავისი წარმომადგენელი ქ. ი, რომ იქიდან, ან კიევიდან მე პირდაპირი მავთულის საშუა გაეგო საქართველოს ეროვნულ სამხედრო სექციიდან მობილი ყოველივე პირობები, რომ მერე ს გაეტარებია ეს რუსეთის სხვა ქალაქში მცხოვრებ ქართველო გრამ, რადგან სამხედრო სექცი გვივიდა ცნობა, რომ რუსეთში რთველობისთვის მობილიზაცია ულო არ არისო, კომიტეტს რჩა ისევ ის ერთი საშუალება ია, რასაც მაინცა და მაინც ფი ვერ მოჰქონდა რუსეთში ჰეიმის გავლენას ქვეშ მყოფ ში.

დან წამომსვლელ ქართველო ტი გზავნიდა ან ცალკე ვა კიდევ სანიტარულ მატა რომლის შოვნას ახერხებდა ავრობისაგან სოხების ორ თან ერთათ.

ვგახსენოთ, რომ მოსკოვში ტეტს სათანადო ანგარიშს შევიკური მთავრობის დაწე მიუხედავად იმისა, რომ ილობისავე დადგენილებით სახალხო კომისრებს სრუ ს მთავრობათ.

შუა რიცხვებში კ. მიტეტ მოათავის თავისი მუ ეს თფილისში სალი თავის წრიდან და დანიშნა კომისრები ოთხ დიდ ქალაქში: პეტროგრადში, მოსკოვში, კიევში და ადესაში და უნდოდა დაენიშნა სხვა დიდ ქალაქებშიც, მაგრამ არ ქონდა ამის საშუალება ძალებისა და სალსარის უქონლობის გამო. კომისრების მოვალეობაა განაგრძოს ქართველების საქართველოში გადმოგზავნის საქმე და აგრეთვე ადგილობრივ ქართველ კოლონიებთან შეთანხმებით დაიცვან ქართველთა და ქართული საქმეების ინტერესები უნდა აღვნიშნოთ, რომ პეტროგრადის ქართველობამ თითონ მოითხოვა კომიტეტიდან ასეთი კომისარი.

ამნაირათ, მოათავა რა თავისი საქმე კომიტეტმა, წამოვიდა მოსკოვიდან თფილისში.

ი. დარჩია

(შემდეგი იქნება).

წითელი რაზმი კახეთში

რაც თელავის ყაზარმებიდან ხულიგანი ჯარის-კაცები გაფანტეს, იმ დღიდანვე თელავის მუშათა საბჭო შეუდგა მკვიდრ ნიადაგზე მოეწყო წითელი რაზმების ორგანიზაციები, როგორც თელავში, ისე თელავის მაზრაში და დაენახვებინა მშრომელი ხალხისთვის, რომ წითელი რაზმელები ნამდვილი ხალხის მეგობრები არიან და არა თავადების მოყიდულები.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ სადაც კი მოახერხა მუშათა საბჭომ რაზმელების შედგენა, მას შემდეგ იმ სოფლებში არავითარი უწესობა არ მომხდარა და სრულიად შესწყდა წარამარა თოფების სროლა და მშვიდობიანი მცხოვრებლების აწიოკება. მაგრამ იმ ნაძირალებმა, რომლებმაც მოასწრეს ყაზარმიდან გაქცევა და თოფების წაღება, მათ შეუერთდა ზოგიერთი თავზე ხელ აღებული ავაზაკი, დაძრწიან ტყეებში და თავს ესხმიან უდანაშაულო მგზავრებს. ეს ველურები ძარცვას არ ჯერდებიან და სიცოცხლეს უსპობენ მგზავრებს. ამას წინათ ს. ველისციხეში დილით მოვარდა დაჭრილი, გატიტვლებული მღვდელი მათიკაშვილი, რომელმაც განაცხადა: „ალაზანზე დაგვესხნენ ყაჩაღები, გაგვძარცვეს, მერე დაგვაწვინეს და თოფები დაგვიშინეს, ხუთი მოგვიკლეს. მეც იმათში ვეგდე და როცა წავიდნენ, მე წამოვდექ და გამოვიქეცი". ამ განცხადების უმალ ასტყდა ზარის რეკა. ველისციხის ზარებს ფიცხლავ გამოეხმაურნენ დანარჩენი სოფლების ზარებიც, რაც ნიშანი იყო რაზმელების გამოსვლისა. ხალხი შეშინდა, ხმა გავრცელდა, რომ ლეკი დაგვეცაო. ბევრი ბარგით გარბოდა ტყისკენ. წითელი რაზმელები დაიძრნენ სოფლებიდან. სწრაფათ მოიყარა თავი ოთხას კაცამდე და გაეშურნენ ავაზაკებისაკენ საბრძოლველათ. სიხარულით გული გევსება, როცა ხედავ გლეხებს, რომელნიც გამორბიან ერთი დაძახებით ვენახებიდან. მიუტოვებიათ თოხები და გარბიან სახლში ფეხშიშველები თოფების გამოსატანათ მტერთან საბრძოლველათ. ასეთივე ამბავი განმეორდა კვირას, 25 მარტს. დილით მოცვივდნენ გულ-გახეთქილი მგზავრები, რომლებმაც განაცხადეს, რომ იქვე მახლობელ ტყეში დაგვხდნენ ყაჩაღები, გაგვცარცვეს და შემდეგ სროლა აგვიტეხესო. ამავე დროს მოვარდა კაცი, რომელმაც გადმოგვცა ცნობილი ქორეგკა ტყის ძმების მეთაური მოკლესო, რომელიც სანადიროთ წასულიყო და ძარცვის დროს შეხვედროდა ავაზაკებს. ეს ხმა სწრაფათ მოედო გაღმა-გამოღმა მხარეს და ფიცხლავ თავი მოიყარა ათას კაცამდე, წითელმა რაზმელებმა და დაედევნენ ავაზაკთა ზრბოს.

სასტიკი ზომებია მიღებული, არიან დაჭერილები. წითელ რაზმელების ასეთ ფხიზელ და ენერგიულ მოქმედებას სიხარულით უყურებს ხალხი. ეხლა დარწმუნდნენ, რომ წითელი რაზმი მდიდრების მოყიდულები კი არ არიან, არამედ ესენი არიან მხსნელები, როგორც შინაური ნაძირალებისაგან ისე გარე მტრისაგან.

სოსო.

ჯარისკაცთა წერილები

დაეჯერო, რომ დღესაც აღმოჩნდებიან ისეთი პირები, რომლებიც ბალშევიკებს გაჰყვებიან?

არ მჯერა იმიტომ, რომ ახლა თვით ბალშევიკებიც კი ხედავენ, თუ რა მოყვა მათ გამოსვლებს რუსეთში!

ამას შემდეგ ჩვენშიაც ვხედავ ისეთ ვაჟბატონებს, რომელნიც ჯარისკაცის მაზარით გამოდიან და ჯარისკაცებს მოუწოდებენ ანარქიისაკენ და ეს ხდება მაშინ, როდესაც ოსმალებმაც იფიქრეს შემოსევა და განადგურება, ჩვენი დაპყრობა. განა ისაა ბალშევიკი, რომელიც გვეუბნება: ჯარისკაცებო, თქვენ ფრონტიდან ახლა მოხვედით, ოთხი წლის მსოფლიო ომის გაგრძელებამ თქვენ მიწასთან გაგასწორა, გაწამეს და ეხლა კიდევ თქვენ მოგიწოდებენ წასვლას „ბურჟუების" დასაცავათო! ჩვენ ჯერ უნდა გავრეკოთ მდიდრები და როდესაც ჩვენ ქვეყანას ხელში ჩაიგდებენ ოსმალები, მერმე წავიდეთო!

ჰკითხავთ ასეთ ვაჟბატონებს თუ ვინ ბრძანდებიან ისინი, პასუხათ მიიღებთ, რომ ისინი ბალშევიკები არიან.

ტყუილია, ამხანაგებო, ის მოღალატეა ჩვენი.

მოღალატეა ჩვენი თავისუფლების! რომელიც ვერ შერიგებია დემოკრატიულ წესწყობილებას და სურს ეხლა კიდევ უკანასკნელათ ზომები იხმაროს, რათა შესძლოს რევოლიუციის დასამარება ოსმალეთის იმპერიალისტების დახმარებით. ნუ მოგვატყუებენ, ამხანაგებო! ვინც დღეს ჩვენში იდეური ბალშევიკია და იცავს ჯარისკაცების, მუშების და გლეხების ინტერესებს, ისინი ჩვენთან ერთათ მოდიან, რათა ვუშველოთ დავიცვათ რევოლიუციონური ფრონტი.

აიღეთ გურია, ის გურია, რომელიც ძველ დესპოტიურ ხანაში, ალიხანოვმგელ ძეებმა, ცეცხლით და მახვილით ათასჯერ გააცამტვერეს. მაგალითი იქიდან გადმოიღეთ. მოხუციც კი მიეშურებიან ბათუმისაკენ.

სიკვდილი არ იქნება, რომ ჩვენ, ომში გაწრთვნილი ახალგაზრდობა, ვუწეროდეთ ხელს შავრაზმელებს ჩვენივე თავისუფლების დანგრევაზე! არა, ამხანაგებო, ეს ღალატია! ღალატია ჩვენი სამშობლოს, რაიც საზოგადოთ არ სჩვევია ქართველობას! ამას თვით ჩვენი ისტორია მოგვითხრობს.

ამისათვის საჭიროა ამხანაგებო ჯარისკაცებო, და უკანასკნელი დროც არის, შევიარაღდეთ! შევიარაღდეთ იმიტომ კი არა, რომ ჩვენს მშობლებს, დებს, ძმებს და გულით კეთილებს მივსდგეთ ასაკლებათ, არამედ გავეშუროთ ჩვენს მამებთან და ძმებთან ერთათ ფრონტისაკენ.

ძველი ჯარისკაცი კ. აბზაზავა.

სოც.-დემ. პარტიაში

ბათუმის მე-4 რაიონის კოლექტივი უცხადებს უგულითადეს მადლობას ამხანაგებს, რომელთაც შეაგროვეს ამხანაგებს შორის კოლექტივის უფასო სამკითხველოს სასარგებლოთ ფული. ბათუმის მომხმარებელ საზოგადოების გამგეობამ 400 მ., ო. რამიშვილმა 310 მ., ა. მგელაძემ 70 მ., მ. კაჯაიამ 145 მ. 50 კაპ., ილ. გვაძაბიამ 5 მ., ვ. ბაკანიძემ 63 მ., ილ. ძნელაძემ 35 მ, დ. უშამეიშვილმა 92 მ. 65 კ., პ. ჩიკაშუამ 47 მ. 50 კ., ე. ჩაკელიძემ 6 მ. 30 კაპ., გ. კაკაბაძემ 10 მ., ილ. ელიაძემ 3 მ., კ. ჯიკიძემ 33 მ., გ. ჰელიძემ 20 მ., ლ. მჟავანაძემ 138 მ., ვ. მახარაძემ 50 მ., სულ 1428 მ. 95 კაპ. კოლექტივი მადლობას უცხადებს: ბერასიონ ბეჟანის ძე მახარაძეს, რომელმაც ერთი წლით გაზეთი „ერთობა" გაუწერა სამკითხველოს თავის გარდაცვლილ ამხანაგ ივანე ჰყონიას მოსაგონებლათ, და აგრეთვე უცხადებს მადლობას ლომკაც მჟავანაძეს, რომელმაც აღუთქვა სამკითხველოს წელიწადში 10 მანეთით დახმარება.

პროვინცია

სოფ. ვანი (გურია). შესდგა ვანის მომხმ. საზოგადოება „იმედის" წევრთა წლიური კრება. გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: მოხსენება გამგეობისა და სარევიზიო კომისიის; დივიდენდის განაწილება; კოოპერატივის შენობის შესახებ; სარევიზიო კომისიის არჩევა; ახალი გამგეობის არჩევნები. გამგეობის მოქმედების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. გრიშა მახარაძე. ის აღნიშნავს, რომ საქონლის წიგნის თანახმად ნოქარს პასუხი უნდა ეგო 50,940 მანეთში 62 კაპ. ანგარიშის დროს საქონელი აღმოჩნდა სავაჭროში გაყიდვითი ფასით 9,512 მანეთის და 79 კაპ., კასაში აღმოჩნდა 147 მანეთი და 9 კაპ. ორდერების სახით ფული ჰქონდა გადაბარებული კასირზე 37,506 მანეთი და 12 კაპ. ნისია აღმოაჩნდა 1826 მან. 95 კაპ. ლობიო კავშირში გაგზავნილი 1580 მანეთის და 55 კაპ. პურის ფქვილი გასესხებული 165 მანეთის. სულ პასუხი აგო ნოქარმა 50,738 მანეთში და 60 კაპ. დააკლდა 202 მ. 60 კ. წმიდა მოსაგები—3817 მ. 35 კაპ.—ასე იქნა განაწილებული: სათადარიგო თანხაში—400 მან., ნოქარს პროცენტები 217 მან. 35 კაპ., ეროვნულ საბჭოს—200 მან., ქართულ უნივერსიტეტს—200 მან., ვანის სამკითხველოს—100 მან., გლეხთა საბჭოს და აკეთის საზოგადოების სამხედრო ორგანიზაციას—100 მან., ს. ვანის სკოლებს პირველ და უმაღლეს დაწყებითს—600 მანეთი, დანარჩენი ორი ათასი მანეთი გადარიცხულ იქნა კოოპერატიულ შენობის შესაძენათ. გამგეობის წევრებათ არჩეულ იქნენ: კოწია მახარაძე, დომენტი თავაძე, ისიდორე თავაძე, სანდრო მახარაძე, სარდიონ მახარაძე; სარევიზიო კომისიაში—ერისტო ხუხუნაიშვილი, პავლე ვადაჭკორია და მელქისე მახარაძე.

ს. წაბლნარელი.

სუმბათოვო (ბორჯომის შტო). აქ არ არსებობს არავითარი პარტიული და კულტურული ორგანიზაციები, ყოველგან გაჩაღებულია მუშაობა, აქაურებს კი—სძინავთ, თითქოს ყველაფერი კარგათ იყოს, მხოლოდ ერთი მაშინ გაიბერტყეს ყურები, როდესაც ახალციხის მუსულმანები აჯანყდენ. ეგონათ გადმოვლენ და ჩვენც საფრთხე მოგველისო. და როდესაც იქ ცოტა სიმშვიდე ჩამოვარდა, მას შემდეგ ისევ სამარისებური სიჩუმე მეფობს. გაზეთებს არავინ კითხულობს და არც მოდის. თუ ვინმემ თვეში ერთხელ მოისურვა გაზეთის წაკითხვა, გამოდის სადგურზე მატარებლის დროს და სთხოვს კონდუქტორს ან ვინმე ნაცნობ მგზავრს. თუ იშოვნა კარგი, და თუ არა,—დაუწყებს კითხვას: „რა ამბები სწერია გაზეთში"? „უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს" კარები მუდამ დაკეტილია და თუ როდისმე გეღირსათ შიგ შევლა, სიცალიერეა. მომხმარებელი საზოგადოება „იმედიც" სულს ღაფავს. მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა შიმშილს განიცდის, მაგრამ მომხმარებელი საზოგადოება ვერ შველის. მცხოვრებთა ერთ ნაწილს კიდევაც გადაუწყვეტიათ იჯარით ორას თუმანში მისცეს ვილაც ვაჭარს თავისი კოოპერატიული დუქანი. კრებები და მიტინგები აქ უცხო ყვავილია. გამოცხადებული მობილიზაციის შესახებ აქ ვითომც არაფერი გაუგიათ და მოხალისეთა რაზმში ჩაწერაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

აქ არის დიდი მთავრის ხერხის ქარხანა, რომელსაც დღეს მთავრობა იბარებს. ამ ქარხანაში მუშაობს ას კაცზე მეტი. სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ მუშებს არავითარი ორგანიზაცია არ აქვთ. არავითარი სოლიდარობა, არავითარი დისციპლინა მათში არ არსებობს და თუ ვინმემ მათ ამ ნაკლზე მიუთითა, ისინი მას ეტყვიან: „შენ ბურჟუა ხარ და მემამულეების ინტერესებს იცავო". აქ არის კიდევ სახერხი სამხედრო ქარხანა. თუმცა ეხლა მუშაობა არ სწარმოებს, მაგრამ მთელი ადმინისტრაცია და ნაწილი მუშებიც არიან. კიდევ არის მესამე კერძო სახერხი ქარხანა, რომლის მუშები და მოსამსახურეები ხშირათ დილის 6 საათიდან საღამოს 6 საათამდე მუშაობენ. არიან კიდევ რკინის გზის მოსამსახურენი, მუშები. აქვე ახლოს არის სოფელი ახალდაბა ასი კომლი მცხოვრებით, არის მასწავლებელი და აფთიაქი.

როგორც ხედავთ, აქ საკმაო ძალები ყოფილა, როგორც მუშებისა, ისე ინტელიგენტების, მაგრამ, საუბედუროთ, მაინც სამარისებური სიჩუმეა.

ვ. მაღულარია.

წერილი რედ. მიმართ

ღია წერილი ციციშვილ-მღებროვ-კეკელია-საბაშვილს.

რუსეთის ფრონტების ქართველ მხედართა კომიტეტის პრეზიდიუმი გაცნობებთ თქვენ ბ.ბ. ნიკოლოოზ ციციშვილო, ექიმო მღებროვ, კონსტანტინე ივანესძე კეკელია და ნიკოლოოზ საბაშვილო, რომ თქვენ მიერ მიღებული კომიტეტისაგან მოკლე ვადის სესხით ფული ვალდებულნი ხართ დაუყონებლივ დააბრუნოთ საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფინანსიურ სექციაში. (ციციშვილზეა ათი თუმანი, მღებროვზე ათი თუმანი, კეკელიაზე ოცდაათი თუმანი, საბაშვილზე ასი თუმანი, სულ ას ორმოცდაათი თუმანი).

კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ იშხნელი.

მდივანი ი. დარჩია

P. S. ვთხოვთ ყველა ადგილობრივ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

მარტის 20 გაიხსნა ახალი
სამკურნალო
ყოველგვარ ავათმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მქინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის

სავადმყოფოში არსებობს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბარატორიით მიხეილის და კიროჩნი ქუჩების კუთხე № 22. (შესასვლელი კიროჩნი ქუჩიდან) ტელეფ. 10—87. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევის 3 საათამდე. ვენერიული და სიფილისის ავათმყოფების მიღება საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს., კვირაობით ღარიბები უფასოთ მიიღებიან დილ. 10—12 საათ. (24—11)

ექიმი
გ. დონხინი
ყოფილ ასისტენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი გ. გ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის
გ. გ. მეგრაბიანცისა
შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ჰლექით დაავადმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანები, პნევმოტორაქსი, დ'არსენვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ.—7 საათამდე. კვირაობით კი დილი. 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

ექიმი
დ. ი. ჟორდანია
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი მისი და შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით. ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

ექიმი
ვ. ვ. კლდიაშვილ
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან მყოფთ ღებულობს ყოველ-დღე 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ მისამართი: პეტროგრადის ქუჩა კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8- ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ველ-დღე დღის 1—2 საათამდ

ექიმი ქალი
რ. გ. შიშლო-საგაშვი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნი სიტეტისა და ედინბურგის მედიკურ რურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყო დღე შინაგან, ქალურ და ვენერი ავადმყოფთ და იძლევა საბებიო რიგებას. სიფილისის წამლობა ახ მეთოდებით. დილის 10—12 ს. და ღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ჩა, სახლი № 82.

სამკურნალო კაბინეთი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიას
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სი ლისიანი ავათმყოფები. (914-ს და 6 შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება საათამდე საღამოთი. მიხეილის პროს ტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდ ტელეფონი 14—28

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვი
მედიცინის დოქტორი მიუნხენის ვერსიტეტისა.
შინაგან საბავშვო, საბებიო და ს ლოსნო სნეულებით ავადმყოფთ ყოველ-დღე შუადღის 12—2 და მოს 4—5 საათამ. უფასოთ იღებს ველ-დღე დილით 9—10 საათ. მის თი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიწხო აფთიაქის გვერდით.

სახლის ორგანიზაციების წესდების
პროექტი

I **სახლის ორგანიზაციების მიზანი.**

1) სასურსათო კრიზისის შემსუბუქება: (პურის, შაქრის და სხვა პროდუ ბის რიგებთან ბრძოლა).
2) სახლის პატრონთა და სახლის დამქირავებელთა და აგრეთვე სახლის ქირავებელთა და ბინის დამქირავებელთა შორის ურთიერთობის მოწესრიგებ
3) ბინის დამქირავებელთა და მათ მოსამსახურეთა შორის დამოკიდებუ ბის მოწესრიგება.
4) სახლების სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესება.
5) ბინის ნაკლებობის წინააღმდეგ ბრძოლა.
6) ბინების დაცვა.
7) სახლების და ბინების შესაფერად მოწყობა. და სხვ.

II **სახლის ორგანიზაციების შემადგენლობა.**

სახლის ორგანიზაციების წევრად ითვლება ყველა მცხოვრები სახლისა წლიდან, რომელსაც კი დადგენილი გადასახადი შეტანილი აქვს.

III **სახლის ორგანიზაციების მმართველობა.**

სახლის ორგანიზაციების საქმეებს განაგებს:
ა) საერთო კრება.
ბ) ბინის კომიტეტი.

საერთო კრება ითვლება კანონიერათ თუ კრებაზე გამოცხადდა ყველა რთა ერთი მეხუთედი (ან ბინის წარმომადგენელთა ერთი მესამედი) თუ საე კრებაზე არ გამოცხადდა საკმაო წევრთა რიცხვი, კრება იწვევა მეორედ დღის განმავლობაში და ჩაითვლება კანონიერათ რამდენი წევრიც არ უნდა ესწროს.

საერთო კრება ირჩევს **სახლის კომიტეტს** (თავმჯდომარეს, მდივანს და სხვადასხვა თანამდებობაზე საჭირო პირებს ირჩევს ერთმანეთს შორის თვით ნის კომიტეტი). და 3 პირისაგან შემდგარ სარევიზიო კომისიას, ეს უკანასკნელ არ უნდა შედიოდნენ ბინის კომიტეტში.

საერთო კრება იწვევა თვეში ერთხელ.

საერთო კრებაზე კითხვები იჭრება ხმის უმეტესობით, ხოლო ხმების თა წორათ გაყოფვის დროს გადამწყვეტი ხმა თავმჯდომარეს ეკუთვნის.

სახლის კომიტეტი განაგებს სახლის ორგანიზაციების საქმეებს, მოჰყავს სრულებში საერთო კრების ყველა გადაწყვეტილება. და თავის მოქმედებაში ა რიშს აძლევს საერთო კრებას წელიწადში ორჯერ.

IV **სახლის ორგანიზაციების სალსარი.**

1) თვითეული წევრი იხდის შესასვლელ და ყოველ თვიურ გადასახადს, მელსაც დააწესებს საზოგადო კრება.
2) შემოწირულება.
3) სპეციალურ მიზნებისათვის შეწერილი გადასახადი.

სახლის კომიტეტებს აქვთ თავისი ბეჭედი, რომელზედაც აღნიშნული უ იყოს ქუჩა და ბინის ნომერი. 2—2

ინსტრუქცია

თუ როგორ მოაწყონ სახლის კომიტეტები.

2—3 მდგმური (საინიციატივო ჯგუფი) იწვევს სახლის ყველა მდგმურთა განიზაციულ კრებას. კრების მოწვევას ისინი აცნობებენ ორი დღით ადრე ს ში მცხოვრებთ დასანახ ადგილზე რამოდენიმე განცხადებების გამოკვრით.

შენიშვნა: თუ სახლში 5 ბინაზე ნაკლებია ამ შემთხვევაში უნდა მოიწ 2—3 ან მეტი სახლის მცხოვრებნი.

განცხადების ნიმუში:

განცხადება

(სახელი და გვარი სახლის პატრონისა) სახლში
№_____, ___________ქუჩაზე ყველა მცხოვრებნი, მოწვეულია საორგანიზა კრებაზე, რომელიც მოხდება ბინის №-ში (აღნიშნოს რიცხვი, დღე, დრო)
დღის წესრიგი:
1) სახლის ორგანიზაციების წესდების პროექტი.
2) სახლის კომიტეტის არჩევნები.

საინიციატივო ჯგუფი.

კრების მოწვევა სჯობია საღამოთი ან კვირა დღეს კრებას ხსნის ერთი ციატორთაგანი და წინადადებას აძლევს კრებას ამოირჩიოს თავმჯდომარე და ვანი. ეს უკანასკნელი იწერს კრებაზე მოსულთა სახელსა და გვარს, ბინის სადაც ისინი ცხოვრობენ და აწარმოებს კრების ოქმებს.

კრების თავმჯდომარის არჩევას შემდეგ ერთ-ერთ ინიციატორთაგანს ეძლ სიტყვა, რომელიც გააცნობს დამსწრეთ სახლის ორგანიზაციების წესდების პროე

შენიშვნა: დაბეჭდილი წესდების პროექტების უფასოთ მიღება შეიძლება ნის საბარათო ბიუროებში. წესდების შესახებ აზრების გაცვლა-გამოცვლის დეგ თავმჯდომარე წინადადებას აძლევს კრებას ამოირჩიოს კომიტეტი. კომიტ ში არჩეულ წევრთა რიცხვი უნდა განისაზღვროს წესდების თანახმათ.

კომიტეტის ამორჩევის შემდეგ დამსწრენი ხელს აწერენ საუბნო სასურს კომიტეტში ჩასარიცხათ წარსადგენ განცხადებას.

განცხადების ნიმუში

მე . . . . უბნის სასურსათო კომიტეტს.

. . . . ქუჩაზე სახ. მე №-ში
მცხოვრებთაგან

განცხადება

გვაქვს პატივი ამით გაცნობოთ, რომ ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი შე რიბენით (რიცხვი) 1918 წ. და ამოვირჩიეთ (ამდენი და ამდენი კაცისაგან) დგარი კომიტეტი, სახელდობ (ჩამოითვალოს ამორჩეულთა სახელი და გვარი).
(აქ მიყვება დამსწრეთა სახელი და გვარი).

_____ . . თვე . . დღე 1918 წელი. (2—2)

[illegible] № 1.

1 აპრილიდან (14 აპრილი ახ. სტ.) ჩვენი გაზეთის ცალკე ნომერი ეღირება
30 კაპეიკი
პროვინციელ აგენტებს დაეთმობათ 24 კაპ.
ერთი თვით ეღირება 6 მან. და 50 კაპ.

გაყიდვას აღკრძალვას, თუ ღარი- ს არ შეუძლიათ მისი შეძენა, დეე დრებიც ნუ ისარგებლებენ ამ უპი- ესობითო.

ცირე კამათის შემდეგ საბჭომ მიიღო დეგი დებულებები: 1) ვინაიდ 6 ზა- ის დასაფარავათ საჭიროა 18—20 იონი მანეთი. შოვნა ძნელი, გაიყოს ოვრები კატეგორიებათ და ამის და ედვით დაწესდეს პურის ფასი; 2) ეთ- ოს მთავრობას 10 მილიონი მანეთი ძელ ვადიანი უპროცენტო დახმარე- სახით; 3) გადიდებულ იქნას შემო- კლის კვალობაზე გადასახადი; 4) და- სდეს პურის გადასახადი; 5) აიღოს ლაქმა საგანგებო სესხი; 6) ყველა ამ ხლების (გარდა მე-5 მუხლისა) განსა- ხციელებლათ ეთხოვოს ნებართვა თავრობას.

დაწვრილებით ზომების შესამუშავებ- ათ საკითხი გადაეცა ცალკე კომისიას, ამელმაც თავისი აზრი უნდა წარმო- გინოს ორშაბათის სხდომაზე.

ვენ—სონ.

ოვალეობის მსხვერპლნი

გიორგი მაჩაბლის ჩამოსვენება თფილისში.

28 მარტს საღამოს 7 საათზე გორი- ნ საგანგებო მატარებლით ჩამოასვე- ცხინვალში „აჯანყებულ მონების“ ერ ვერაგულათ მოკლული, ხალ- თვის თავდადებული გიორგი მაჩაბ- ს ცხედარი. სადგურში დაუხვდა წი- ლი გვარდია დროშებით, რკინის გზის ოს მოსამსახურეების—მუსიკით. მა- რებლის მოსვლამდე ორი სამი საათის ნ სადგურზე იწყო განსვენებული ორგის პატივის საცემლათ აურაცხელ- ხალხმა ბაქანზე მოგროვება, მა- რებლის მოსვლისას სულ ერთია- ი გაიჭედა ხალხით. მატარებლის შე- ვლას მუსიკა სამგლოვიარო მარშით ეგება, ერთმა ამხანაგმა—საზოგადოე- გააცნო, თუ ვინ იყო გიორგი და რა ღვაწლი მიუძღოდა მას მშრომე- ხალხის წინაშე, რომელსაც ის შე- რა მთელი თავისი არსებით და სი- ცხლით. მან წინადადება მისცა დამ- რე საზოგადოებას შეფიცონ გიორგის ედარს, რომ ისინი განაგრძობენ ორგის საყვარელ იდეალებს და მიზნის საღწევათ არ დაზოგავენ თავიანთ ცოცხლეს და ძირს არ დაუშვებენ ვისუფლების დროშას. აურაცხელმა ხმა როგორც ერთმა კაცმა ქუდ მოხ- ით „ამინ“ უპასუხა. შემდეგ ცხედარი ვენეს ქვაშვეთის ეკლესიაში. პრო- სიაც გაყვა თითქმის უკლებათ მთელი საზოგადოება, რომელიც სადგურში ედრის მოსვენებას დახვდა.

გიორგის დაკარგვა დიდი დანაკლისია რომელი ხალხისთვის. ვინ არ იცის, რა დაუღალავი შრომა და ენერგია უძღვის მას დემოკრატიის წინაშე. რამ ამაზე უფრო სამწუხარო ის არის, მ მას სიცოცხლეს უსპობს შავბნელი ლების მიერ ამხედრებული და გამხე- ბული იმ მონათა ბრბო, რომელთა ავალ ბედნიერებას და მათ მონობისაგან განთავისუფლებას შეეწირა გიორგი თავისი არსებით.

იცოდეთ: არავითარ ჯალათს არ შეუძლია მშრომელი ხალხის გულში მოჰკლას გიორგის წმინდა იდეალები. დადგება დრო, სიმართლე გაიმარჯვებს და თქვენვე გამოერკვევით თქვენდამი ჩადენილს უმსგავსო მკვლელობაში, გაიცნობთ თქვენ ნამდვილ მტერ-მოყვარეს და მაშინ თქვენვე მოგიხდებათ მოკლული გიორგის საფლავის წინაშე ტირილი და გოდება.

საშა ჩიგოგიძე.

ლეჩხუმის ამბები

ლევან დადეშქელიანის სახით მე დავკარგე ყმაწვილური წლების საყვარელი მეგობარი, და 12—13 წლის თანამგზავრი ეკლიან გზაზე. პირადათაც ლეჩხუმის ამბების გარშემო, მწარე გამოცდა და სულიერი მღელვარება მხვდა წილათ, და ამიტომ გვიან მიხდება როგორც პასუხის გაცემა უსინიდისო განგაშზე, ისე საზოგადოებისათვის ზოგი ცნობების მიწოდება.

მუშათა დეპუტატებ'ს საბჭოს თავმჯდომარემ, ამხ. გრ. ურატაძემ გაზეთ „სოც.-დემოკრატის“ 278 №-ში გამოაცხადა ჩემი და ლევან დადეშქელიანის დამოკიდებულება ლეჩხუმში რაზმის გაგზავნასთან. რამდენადაც ხალხის და ჩვენმა პირადმა მტრებმა ჩვენდამი ბრალდება ამ რაზმის გაგზავნაზე ააშენეს და ამით ჯარისკაცები მოგვისიეს, იმდენათ მალე მათის სახით ამ ჯარისკაცებს ხელში პროვაკატორები შერჩებათ და მე მშვიდათ ვუცდი ამ დროს.

რა მოხდა ლეჩხუმში? მოხდა ის, რომ ადგილობრივმა ჯარისკაცებმა იარაღით ხელში თავი მოიყარეს და დაწესებულებების ხელში ჩაგდება, ანუ როგორც ისინი ამბობენ: „კანტროლის გაწევა“ მოისურვეს. სამაზრო დაწესებულებანი ამის თანახმა არ იყვნენ. ჯარისკაცების ძალა იმდენათ საგრძნობი გამოდგა, რომ წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი გახდა, და რამდენადაც ეს ასე იყო, იმდენათ ადვილად მიაღწიეს მიზანს. ძველი თანამდებობების პირებიდან იმათთან მხოლოდ ორი კაცი—მაზრის კომისარი ასათიანი და მილიციის უფროსი გოლეთიანი გამოცხადდნენ. ამათგან გოლეთიანი ციხეში ჩასვეს, ხოლო ასათიანი თავის ადგილს დასტოვეს. გოლეთიანის სახით სატუსაღოში მოექცა ძველი, ნაცადი რევოლიუციონერი, ლეჩხუმში ამოსვლამდე ქუთაისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თვალსაჩინო წევრი, რეაქციონერების სახით დაპატიმრებული ყოფილი ბოქაული კოპალიანი და შარდენ ყრუაშვილი სატუსაღოდან გაუშვეს.

ყოველ შემთხვევაში ლეჩხუმში წასულმა რაზმმა პირველად ს. ალპანაში (ქუთაისიდან 25 ვერსია) გაიგო, რომ ცაგერში მომხდარი ამბები ქუთაისს გადაჭარბებულათ აცნობეს. ამ გადაჭარბებას ხელი შეუწყო სხვათა შორის აი რამ: 22 თებერვალს ცაგერში დიდი სროლა ატეხილა და 200 მეტრი თოფი გავარდნილა. ამ სროლის გამგონი ყველა შეშინდა, ცაგერში ველარავინ შევიდა, და გარედ-კი, საშიშარი ხმების გავრცელება დაიწყეს. გზადაგზა ალპანამდე ყველა შემხდომი უნუგეშო მდგომარეობაზე გველაპარაკებოდა.

ალპანაში ჩვენთან ჯარისკაცების დელეგაცია მოვიდა, და ამათგან გავიგეთ საქმის ნამდვილი ვითარება. დელეგაციაში ორი ჯარისკაცი ერია, ერთი მეშველიანი და მეორეს გვარი ჯერაც არ ვიცი. უნდა ითქვას, რომ ეს ხალხი პატიოსანი და შედარებით შეგნებული გამოდგა. ისინი მთელი თავისი შეძლებით ცდილობდნენ საქმის მშვიდობიანათ დათავებას, და სხვათა შორის, ამას უნდა მიეწეროს, თუ ლეჩხუმის ამბები უფრო მწარედ არ დათავდა, და პროვოკატორების ცდამ შეტაკების და საერთო სისხლის ღვრის შესახებ მიზანს ვერ მიაღწია. რაზმი ორ წყებად მიდიოდა, წინ ცხენოსნები, ხოლო უკან მეორე წყება ავტომობილებით. 24 თებერვლის საღამოსათვის ეს ორი წყება ერთი მეორეს 11 ვერსით დავშორდით, და როცა ცხენოსნები ს. ალპანას მივედით, ავტომობილებს ს. ტყვიშს მოუწია ღამე დარჩენა. ნიკორის ძირის კლდეები სწორედ ამ ტვიშსა და ალპანას შორის არის, და მოხდა ისე, რომ ჩასასაფრებლათ ჩამოსულ ჯარისკაცებს ცხენოსნებმა გავასწარით, ხოლო ავტომობილები უკან მოექცნენ და ჩვენ შორის გზა მოჭრილი შეიქნა. მეორე დილით ავტომობილები უთუოდ საფარს მოადგებოდნენ და სისხლის ღვრაც აქ იყო მოსალოდნელი, მაგრამ მეშველიანმა და მისმა ამხანაგმა ანგარიში გაუწიეს ამ საშინელებას, ბნელით მოცული ავდრიანი ღამე თითქმის გზაზე გაათენეს, და როგორც იქნა თავისიანები დაარწმუნეს, რომ ავტომობილები მშვიდობიანათ გამოეშვათ. მე არ ვიცი რა როლი ითამაშა ამ ორმა ჯარისკაცმა ლევან დადეშქელიანის მკვლელობასა და საქმის დანარჩენ მსვლელობაში, მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს იმათი შემდეგი მოქმედება, ის მაინც ცხადია, რომ აქ მათ დიდი უბედურება აგვაცილეს. პირველი შეხვედრისთანავე მეშველიანს და მის ამხანაგს დიდათ ესიამოვნათ ჩვენი განცხადება იმის შესახებ, რომ ჩვენ არავითარი შურისძიება მომხდარი ამბების გამო აზრათ არ გვქონდა, თუ წესიერების დარღვევას არავინ შეეცდებოდა შეცდომების გასწორებას დათანხმდებოდა და გლეხთა დეპუტატების არჩევნებს ხელს არ შეუშლიდა. ამ ფარგალში სამუშაოდ ჩვენ იმათ პირდაპირ გაგვიწვიეს ცაგერისაკენ და წასვლისას მხიარული ღიმილით გვითხრეს: „ცაგერში ჩვენ თქვენი მაინძლები ვიქნებით, დიდი მიტინგი მოვიწვიოთ და რევოლიუციის წლის თავი გადავიხადოთო“.

ალპანიდან ცაგერისკენ 4 ვერსის მანძილზე, ს. ქალეშს, სადაც ორპირის კლდეები თავდება, ჯარისკაცებს მეორე თუ მესამე საფარი ჰქონდათ და მეშველიანი და მისი ამხანაგიც აქ გაემართენ დარაჯის მოსახსნელათ, მე ნამდვილათ ვიცი, რომ მეშველიანმა აქ კარგი სიტყვა სთქვა, ჯარისკაცებს აცნობა, რომ ჩვენ იმათი ამხანაგი ვიყავით და კარგი შთაბეჭდილებაც მოახდინა. მე ისიც ვიცი, რომ მეშველიანის შემდეგ ილაპარაკა ვიღაც გიორგი ჩაჩხიანმა, ლაილაშელმა და რაზმის მისვლა ლეჩხუმის ღალატად და უბედურებათ გამოაცხადა. ამას შემდეგ მოყვა მეშველიანის და მისი ამხანაგის ერთხმათ ნდობის დაკარგვა და ჩაჩხიანის ჩვენთან დელეგატათ ჩამოსვლა. ჩვენ ეს ჩაჩხიანი სულ სისხლის ღვრასა და შურისძიებაზე გველაპარაკებოდა, მალე შევნიშნეთ წასისიანების გრძნობა და პროტესტიც გამოვუცხადეთ. როგორც ამბობენ ჩაჩხიანი სტუდენტი ყოფილა და მე ძალიან ვსწუხვარ, რომ უბრალო ჯარისკაცების—მეშველიანი და მისი ამხანაგის სათნო და კაცთ-მოყვარე მოწოდებას ამ სტუდენტის ხმა ყორნის ჩხავილის და ჭოტის კივილის შემზარავობით აედევნა. საგულისხმოა ისიც, რომ ჩაჩხიანი შვილია თურმე ლეჩხუმის მოძრაობაში ისტორიული ოჯახისა. ამისმა მამამ, მღვდელმა ანტონ ჩაჩხიანმა დასწერე პირველი პოლიტიკური „დანოსი“ ლეჩხუმში 1905 წელზე ადრე, ვგონებ 1903 წელში. ამ „დანოსის“ საბაბათ მან გამოიყენა ერთი გურული ფერშლის—ანდღულაძის სუფრაზე ნათქვამი სადღეგრძელო. შემდეგ ეს მღვდელი მძვინვარე რეაქციის დროს რევოლიუციის თავაშვებული მტრობისათვის დასჯრეს ქალაქ ქუთაისში და ბოლოს მოკლეს სოფელ ლეჩხუმში. კითხვა იბადება ასეთი კაცის შვილს, ლეჩხუმის ამბების მონაწილე სტუდენტს საკმაოთ ხომ არ გამოყვა მამის სისხლი, და ხომ არ ნახა შესაფერი დრო რევოლიუციის ზურგიდან დასასხმელათ. ღმერთმა ქნას, რომ ეს ასე არ იყოს.

რადგან პირველი შეთანხმება ჯარისკაცებთან ურთიერთობის მშვიდობიანათ დამყარებისა დაირღვა, აქედან იწყება იმათი მადის თანდათანი უადგილო ზრდა და ლეჩხუმის ამბების სიმწარე და სიმწვავე. მეორე მოთხოვნილება, რომელიც ჯარისკაცებმა ჩაჩხიანის პირით წამოაყენეს, თვით ამ ჩაჩხიანის ბოროტი წილა-ბოდილას გარდა გამოიხატებოდა რაზმის ალპანიდან ქუთაისისაკენ გაბრუნებასა და ლეჩხუმში სამუდამოთ 5 მუშათა საბჭოს წარმომადგენლების დარჩენაში, რაზედაც ჩვენ სიამოვნებით დავეთანხმეთ.

მალე ეს მეორე შერიგებაც დარღვეულათ გამოცხადდა და ხალხმა, მესამე დელეგაციამ მოითხოვა ყველა იმათი გაცემა, ვინც ლეჩხუმში არეულობის შესახებ ქუთაისში ცნობები გამოგზავნა. ჩვენ რა თქმა უნდა გახელებულ ხალხს ხელში ვერავის მივცემდით, და როგორც იქნა დავიყოლიეთ ნებას დელეგაცია, რომ ეს საქმე კომისიის საშუალებით უფრო დამშვიდებულ და შესაფერ დროს გამოერკვიათ.

გვეგონა, ეხლა მაინც ყოველივე გათავდა, მაგრამ აქაც იმედმა გვიმტყუნა, მოვიდა მეოთხე დელეგაცია და მოითხოვა იმ 42 თოფის მიცემა, რომელიც ჩვენ გვარდიელების დასარიგებლათ მივიტანეთ. როცა ესეც მივიღეთ, ჩქარა დელეგაცია მოვიდა და ჩემი და ლევან დადეშქელიანის გაცემა მოითხოვა. ჩვენ ორთავემ იქვე გავაცხადეთ, რომ არსად წასვლას არ ვფიქრობდით, და ამ მხრივაც ჯარისკაცების სურვილი მიღწეული დარჩა. მაგრამ ეხლა მეექვსე დელეგაციამ პულემიოტები მოგვთხოვა. აქ უკვე შეტაკება აუცილებელი იყო, მაგრამ მოვიდა ალპანის საზოგადოების მთელი გლეხკაცობა და იმანაც მოითხოვა პულემიოტების მოთხოვნის უკან წაღება, ამაზე დელეგაციაც დაიყოლა ნებას და ამ სახით მოხდა მეექვსე და უკანასკნელი შერიგება.

ეს იყო 26 თებერვალს და რაზმიც ამ დღეს უნდა გამობრუნებულიყო უკან, მაგრამ ხიდების გაფუჭების გამო ავტომობილებმა ველარ გაიარეს და ამან რაზმის დარჩენა გამოიწვია, რაც ჩემი და ლევანის დარჩენასაც ითხოვდა. რადგან საქმეში მთელი საზოგადოების გლეხობა ჩაერია და საქმე მისი მონაწილეობით გათავდა, აღარავინ მოველოდით უსიამოვნებას. ამიტომ ლევანმა ავათმყოფობა თქვა და მიუხედავათ ჩემი თხოვნისა დარჩენის შესახებ, ლაილაში, თავის ოჯახისაკენ გაემართა. საცოდავი ლევანი მართლაც არ იყო კარგათ. იგი გულადი ვაჟკაცი იყო. არა ერთხელ და ორჯერ ყოფილა შემთხვევა, რომ მას საქმე ქონდა გაბოროტებულ მტრებისაგან მიშვერილ თოფ-ხანჯლებთან, მაგრამ არავის არ ახსოვს მისი გაზრილი წარბი, არავის არ ახსოვს მისი შიში. სამწუხაროთ აი, ეს გულადი ვაჟკაცი ვერ გაუმკლავდა ბედის დაცინვას და ალპანაში ჩქარა დაიმორჩილა იგი არა სიკვდილის შიშმა, არამედ მწარე გრძნობამ იმისა, რომ მას, რევოლიუციონერს თავს ესხმოდა ის ხალხი, რომელიც რევოლიუციას უნდა ამაგრებდეს და რომლის სამსხვერპლოზედაც ლევანმა ყოველივე დასწვა, რაც კი მისი პირადი ბედნიერებისათვის საჭირო იყო. ეს შესაზარი სურათი საფლავი ქვების შემზარაობით გადაეფარა ლევანის მშვენიერ სახეს, და წასვლისას სევდიანათ გვითხრა საბედისწერო სიტყვა: მშვიდობით! და ის გლოვით და მწუხარებით დაგვშორდა ამხანაგებს, დაგვშორდა სალამოს, მზის სხივების მთის წვერებზე უკანასკნელი თამაშის დროს, და ჩვენ რა ვიცოდით, რომ იმ სხივების ჩაქრობასთან ერთათ ჩაქრებოდა ლევანის ლამაზი და თავისუფლების მოყვარე სიცოცხლე. ჩემო ლევან! იგი მზის სხივები მთის წვერებზე სალამოობით კიდევ სჩანან, კიდევ თამაშობენ, მაგრამ შენ სადა ხარ, შენ?

როგორც დამსწრეები ამბობენ, ალპანიდან 4 ვერსის მანძილზე, სოფ. ქალეშში, ლევანს რამოდენიმე ჯარისკაცი შეხვედრია, და როცა მისი ვინაობა გამორკვეულა, სხვებისთვისაც დაუძახიათ და შეგროვილან 250—300 კაცამდე. უკითხავთ ჩემ შესახებ და ლევანსაც უპასუხნია: „თანახმად თქვენი დელეგაციის აზრისა და მოთხოვნისა ჩვენ ორთავენი უნდა მოვიდეთ ცაგერში 2 მარტს, და თქვენს კომისიას განმარტება მივსცეთ რაზმის წამოსვლასთან ჩვენი დამოკიდებულების შესახებო“ ამის შემდეგ ლევანი დატყვევებულათ გამოუცხადებიათ. ვიღაცას დაუყვირია: „ზლაპრები საჭირო არ არისო“. ჩქარა ჭექამაც დაიხმაურა და მის ხმას თან გაყვა ლევანის ლამაზი და თავისუფლების მოყვარე სიცოცხლე. მეორე დღეს ლევანი იმავ ადგილას ნახეს, სადაც დაეცა, ჩექმების გახდის დროს ნათრევი და ზოგიერთი ნივთებისა და საცმელისაგან გაძარცული. მის ცხედარს ქონდა გულსაკლავი ნიშნები სიკვდილის დროს უპატრონობის და მარტოობისა. ცხედარის წასასვენებლათ მისული ხალხიდან მარტო ექვსი კაცი მიიღეს, და მათ მიასვენეს ლევანი უბედურ ცოლშვილთან. შემდეგ სახლში ვერავინ ეკარებოდა. ქუთაისში გასვენების ნებართვის კითხვა გადაწყდა ხელის აწევით და დადებითად.

ზევით მე დამავიწყდა მეთქვა, რომ უთვალავი დელეგაციების აქეთ-იქით სვლის და მოლაპარაკების პროცესის დროს ჩვენ დაგვიტუსაღეს ქუთაისში სურსათისათვის წამოსული ავტომობილები და თოფები დაუშინეს, დაიჭირეს ორი თუ სამი ჩვენი გვარდიელი.

იყო თუ არა ლეჩხუმში ძალადობა და რეაქციონური ნაბიჯები? მე ვამბობ, რომ იყო ძალადობა, იყო ის, რომ ფარული კენჭის ყრით ამორჩეულ მთელი მაზრის წარმომადგენლებს პოსტის დატოვება მოთხოვეს, და რეაქციონური ნაბიჯი კი ის იყო, რომ რევოლიუციონერი გოლეთიანი ციხეში ჩასვეს, და რეაქციონერები კოპალიანი და შარდენ ყრუაშვილი ციხიდან გაუშვეს. თუ ვინმე დავას დაიწყებს გოლეთიანის რევოლიუციონერობის და ყრუაშვილის და კოპალიანის რეაქციონერობის შესახებ, ამაზე პასუხს გავცემ, მაგრამ აქ საქმე ამაში არ არის იმდენად, რამდენადაც ჯარისკაცებმა ეს კითხვა პირველად არ დააყენეს და იმ ორგანიზაციების შეხედულება არ დაარღვიეს, რომლებიც გოლეთიანში რევოლიუციონერს ხედავდა და კოპალიანსა და ყრუაშვილში რეაქც. თუ სამაზრო იარაღის თვითნებობით, აურჩეველი პირებისაგან ხელში აღება რიგიანი არ არის; თუ ფარული კენჭის ყრით არჩეული მაზრის წარმომადგენლების პოსტიდან გარეკის უფლება ამრჩევლების გარდა არავის აქვს; თუ რევოლიუციონერების ციხეში ჩასმა და რეაქციონერების ციხიდან გაშვება წესიერებას არ ნიშნავს, მაშინ ჩვენ უნდა მივიღოთ, რომ ლეჩხუმში უწესოება იყო. რამდენადაც ეს უწესოება ადგილობრივმა დაწესებულებებმა ვერც სათავეში შეაჩერეს და ვერც რაჭა ლეჩხუმის გვარდიელებით აღადგინეს, იმდენად საჭირო იყო სხვა ახალი ძალა. ეს ახალი ძალა სად უნდა მონახულიყო თუ არ ქუთაისში, და ნეტავ რათ უკვირთ ზოგიერთებს, რომ თავისუფლების დამცველი რაზმი ქუთაისიდან ლეჩხუმში წავიდა?

რ. ყიფიანი.

ქართული სამხედრო ორგანიზაციები რუსეთში

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ რუსეთის ფრონტებზე მყოფი ქართველი მხედრებიც ჩააბა საერთო სარევოლუციო მუშაობაში. მაგრამ ვინაიდან ქართველ ჯარისკაცთა დიდმა უმრავლესობამ რუსული ენა მხოლოდ საყველპუროთ იცოდა, ამიტომ საჭირო იყო თავის დედაენაზე მიწოდება ამა თუ იმ ცოდნისა, ბევრგან დაიბადა აზრი ეროვნული ორგანიზაციების შექმნისა, სადაც კულტურულ განმანათლებელი მუშაობის წარმოება შესაძლებელი იქნებოდა ქართულ ენაზე. თუმცა ამ დროს ასეთ იდეას მოწინააღმდეგე ჰყავდა, როგორც ცენტრალურ მთავრობაში, ისე ადგილობრივ ორგანიზაციებში, რადგან ეშინოდათ, ვაი თუ ეროვნულმა ორგანიზაციებმა ჩამოაშორონ საერთო საქმეს ხალხი და რევოლიუციის ძალა დაქუცმაცდესო, მაგრამ მაინც გაჩნდა აქა იქ ასეთი ქართული ორგანიზაციები, როგორც მაგალითად, მეთორმეტე არმიის ქართველ მხედართა კომიტეტი და მე-28 კორპუსის ქართველ მხედართა კომიტეტი (ორივე ჩრდილოეთის ფრონტზე).

პირველათ ქართული ორგანიზაციების მუშაობა გამოიხატებოდა უმეტესათ კულტურულ განმანათლებელ მუშაობაში. ამ მიზნით ცდილობდენ შეექმნათ სრულიად რუსეთის ფრონტების ქართველ მხედართა ორგანიზაციების ცენტრი, რაიც წინანდელ პირობებში ძნელი მისაღწევი შეიქნა, მაგრამ უკანასკნელი ამბების შემდეგ, როდესაც ბალშევიკების ხელმძღვანელობით ხელში ჩაიგდეს სახელმწიფოს ძალა უფლება და ბოლომდე მიიყვანეს თავიანთი მიზანი—ჯარის გახრწნა, დაიბადა აზრი ქართველი მხედრები როგორმე გამოეყოს რუსულ ნ წილებს, შეექმნას ეროვნული ერთეული და ისე გადაიგზავნოს საქართველოში იქაური ფრონტის დასაცავათ, რადგ რუსის მხედრები ფრონტებიდან გარბი და საქართველოს და მასთან ერთ მთელს კავკასიას თათრების შემო მოელისო.

ბალშევიკურმა მთავრობამ და ორგანიზაციებმა არამც და არამც იწამა ეს და ყოველ ღონეს ხმარო რომ ეროვნული ნაწილები არ შ ლიყო.

მეთორმეტე არმიის ქართველ მხე თა ყრილობამ გასული წლის 13 ნოემბერს დაადგინა გამოეყოს არმ ქართველი მხედრები და შეად ქართული პოლკი. ამ დროს ბალ კურმა მთავრობამ გამოსცა ბრძანებ სეთის სარევოლუციო დამკვრელ ლიონების დაშლის შესახებ. ამით გებლა არმიის ქართველ მხედარ მიტეტმა და გამოითხოვა ნება-რ მიის უფროსებისაგან ს.-დ. სარე ცი ო დამკვრელ ბატალიონის (იმ რაიონში იდგა, სადაც კომი ყოფებოდა და უფროსათ ქ პოლკოვნიკი ჰყავდა) ქონება პოლკისთვის გადაეცათ.

ამნაირათ, ჩაეყარა საფუძვ ლოეთის 1 ლ ქართულ პოლკ მიუხედავათ შესაფერი ნებარ მიის უფროსებისაგან, ახლათ არმიის ჯარისკაცთა საბჭოს ბ რი აღმასრულებელი კომიტეტ თავისი არსებით წინააღუდგა კის შექმნას და რამდენიმე შემდეგ მიაღწია კიდეც თავ ამა წლის იანვრის პირველ პოლკი დაშალა და იარაღი ჩამოართვა.

18 დეკემბერს ჩრდილოე ქართველ მხედართა კომ მოწვეულ იქნა მინსკოში ლა ფრონტების ქართვე ლეგატების ყრილობ რულდა 28 დეკემბ

ზე თანასწორათ განაწილებულიყო ელმწიფო საშუალება, დაბეჯითებით თხოვდა საგრაფოთა მართვა-გამგეო- რეფორმებს. საგრაფოთა მართვა- გეობის საქმე ისე უნდა მოწყობილი- რომ მის ორგანოს თვითოეულ ოლ- ფარგლებს გარეთ მოქმედების უფ- ა ჰქონებოდა და ამავე დროს ის ვილიყო შემაერთებელი ინსტანცია ადგილობრივ დაბალ დაწესებულებებ- და სახელმწიფოს ცენტრალურ დაწე- ულებებს შორის“. (80—81, ტ. I).

ახალ პირობებში საგრაფოების მართვა- გეობა არ შეეძლო მომრიგებელ მო- სართლეთა ყრილობებს და საფინანსო- ეურნეო მართველობა გადადის საგ- ფოს საბჭოს ხელში, რომელსაც ირ- ენ გადასახადების გადამხდელნი. ხმო- თა კრება ანუ საბჭო საგრაფოს მარ- -გამგეობის უმაღლესი ორგანოა, ხო- მართვა-გამგეობის სხვადასხვა დარ- ის გამგეებათ საბჭო თავიანთ შო- ს ირჩევს საგანგებო კომიტეტებს.

ამოსანთა კრება (საბჭო) ირჩევს აგ- თვე თვის შორის თავჯდომარეს ერ- წლით, რომელიც როგორც ქალაქის ორიდ მერი ამავე დროს თანამდებობით მრიგებელი მოსამართლეა.

გარდა მოსამართლისა, ყველა ადმი- სტრატიული და სამეურნეო-საფინანსო ნქციები საგრაფოს საბჭოს ხელში დაიდა, მხოლოდ მილიციის დამოუკი- ებელი გამგეობა მის ხელში არ არის. ლიციის დირექტორის და სხვა მოსამ- ურეების დანიშვნა მუდმივ შეერთე- ლ კომისიის საქმეა, ეს კომისია შეს- ვება მომრიგებელ მოსამართლეთა ყრი- ობის წარმომადგენელთაგან და საგრა- ოს საბჭოს ზოგიერთ წევრებისაგან.

საგრაფოს საბჭოს უფლება აქვს აი- ოს სესხი და გააწეროს საზოგადო და სპეციალური გადასახადები მთელ საგრაფოში, შეკრიბოს სამრევლოთა ზედამხედველების შემწეობით ეს გადასახადები და გაანაწილოს ის ნაწილი საგრაფოს ართველობის საჭიროებისთვის და ნაწილიც სხვა ადგილობრივ დაწესებულებების გადასცეს.

საგრაფოს საბჭოებს უფლება აქვთ გამოსცენ სტატუტები და რეგლამენტები და მას შეუძლია ეს უფლებები გადასცეს კომისიას და ქალაქის საბჭოებს. მას შეუძლია აგრეთვე გადასწყვიტოს საკითხი სამრევლოების და ოლქების საზღვრების შეცვლის შესახებ, როცა ამ საკითხს გამოარკვევენ ადგილობრივ მართველობის საბჭოს ინსპექტორთან ერთათ. სამრევლოების დაყოფის და შეერთების და სამრევლოების საბჭოთა წევრების განსაზღვრის საკითხის გადაწყვეტის დროს საგრაფოს საბჭო არის უმაღლესი ინსტანცია; მას ეძლევა აგრეთვე უფლება ნება დართოს (ადგილობრივ მართველობის საბჭოს თანხმობით) სამრევლოებს აიღონ სესხი ან თვით საგრაფომ მისცეს.

დიდრონი ქალაქები ადგენენ ცალკე საგრაფოებს.

ინგლისში არსებობს კიდევ საგრაფოზე უფრო ფართე ადგილობრივი ორგანიზაციები. გზების და ხიდების გაკეთება და შენახვა, წყალდიდობის წინააღმდეგ ზომების მიღება, მდინარეების მოწესრიგება, თევზაობის დაცვა და სხვა, აიძულებს საგრაფოს შექმნას შეერთებული კომიტეტები ერთათ სამოქმედოთ.

მთელს ევროპაში ინგლისის ადგილობრივი თვითმართველობა უფრო დემოკრატიული და უფრო რიგიანათ მოწყობილია ადგილობრივ მცხოვრებთა საჭიროების დასაკმაყოფილებლათ. იქ კარგათ გატარებულია პრინციპი, რომლითაც მთელი შინაური მართვა-გამგეობა ტერიტორიალური კომუნების ხელშია, რომელთა წარმომადგენლები ყველა საქმეებს დამოუკიდებლათ აწარმოებენ, რომლის დროსაც ხელმძღვანელობენ კანონის, ე. ი. პარლამენტის მიერ აღნიშნულ ნორმებით. შეიძლება კომუნები აიძულონ შეასრულონ მათზე დავალებული საქმეები, მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. კომუნის კომპეტენციის გაფართოება შეუძლია მხოლოდ პარლამენტს.

მთავრობის ცენტრალურ ორგანოს—ადგილობრივ მართველობის საბჭოს, შეუძლია გავლენა იქონიოს ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოებზე თავის ინსპექტორების შემწეობით ან საგანგებო რევიზიის მოხდენით (ადგილობრივი გამოძიება), რომელსაც ახდენს ინსპექტორატი და საფინანსო კანტროლით. ადგილობრივ მართველობის საბჭოსთან არის ინსპექტორი, რომელიც თვალყურს ადევნებს ადგილობრივ თვითმართველობის სხვადასხვა დარგს; შინაგან საქმეთა სამინისტროსთანაც არიან ინსპექტორები, რომლებიც პოლიციის სამმართველოს უწევენ კანტროლს.

ინგლისის კონსტიტუციამ არ იცის ისეთი ადმინისტრატიული განკარგულება, რომელსაც კანონისაებრ ძალა ჰქონდეს. ყოველივე რწმუნება ადმინისტრატიულ მოქმედების შესასრულებლათ დამყარებული უნდა იყოს კანონზე და გამოდიოდეს პარლამენტიდან, რომელიც ავალებს ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოებს სამრევლოებში, ქალაქებში და საგრაფოებში მთელი მართვა-გამგეობის საქმეს. ადგილობრივ საქმეების ბატონ-პატრონი ტერიტორიალური კომუნებია, რომლებიც მოქმედებენ კანონის თანახმათ და მთავრობის ცენტრალურ ორგანოს, ე. ი. ადგილობრივ მართველობის საბჭოს კონტროლის ქვეშ.

მიუხედავათ ინგლისის კომუნების დადებითი ღირსებისა, მას მაინც არ შეუძლია შეასრულოს დემოკრატიის მოთხოვნები, რადგან ცენზიანი საარჩევნო უფლება საშუალებას უსპობს დემოკრატიას საჭირო გავლენა ქონდეს კომუნალურ ცხოვრებაზე. ამიტომაც ინგლისის პროლეტარიატი მოითხოვს „პირდაპირ არჩევნებს, ყველა წოდებათა წარმომადგენლების მიერ ხმის მიცემით“.

სანამ ინგლისში ყველა წარმომადგენლობითი დაწესებულებები არ იქნება მოწყობილი საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით საარჩევნო უფლების საფუძველზე, კომუნა ვერ შესძლებს გაატაროს ცხოვრებაში პროლეტარიატის დემოკრატიული და სოციალური მოთხოვნები.

ეს არის პოლიტიკური აქსიომა და ამიტომ ინგლისის სოციალისტები პირველ რიგში აყენებენ საარჩევნო უფლების რეფორმის საკითხს. იგინი, უმეტესათ ფაბიანცები, ეუბნებიან დემოკრატიას, რომ „ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს საგრაფოს საბჭოს და პარლამენტის არჩევნებს. პარლამენტს და საგრაფოს საბჭოს,—ამბობენ ფაბიანცები,—ბევრი რამეს გაკეთება შეუძლია მუშებისთვის გადასახადების შესახებ. ამიტომაც არის, რომ ფერმერები, პატრები და კერძო მესაკუთრეები ყოველ ზომებს ღებულობენ, რომ ამ კრებებში მუშების მეგობრები არ აირჩიონ (მეტტენი. სოციალიზმი ინგლისში).

სოციალისტ-ფაბიანცები მოითხოვენ, რომ ქალაქების და საგრაფოების საბჭოებს უფლება მიეცეთ მოახდინონ წყლის მიწოდების საქმის, გაზის, ტრამვაის, სახალხო ბინების და სხვა მუნიციპალიზაცია მცხოვრებთა სურვილისამებრ, და აგრეთვე ნება მისცენ მათ მიწების ექსპროპრიაციის, რომ გადასცენ ქირით და არა გასაყიდათ.

სოციალისტები დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ კომუნებს ნება მიეცეთ ჩაერიონ მუშების და „ხაზეინების“ საქმეში სამუშაო ქირის მინიმუმის და სამუშაო დროს მაქსიმუმის ნორმის შესამუშავებლათ. იგინი (უმეტესათ ფაბიანცები) მიზნათ ისახავენ იმ წარმოებათა განსაზოგადოებრივობას, რომლებიც მცხოვრებთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლათ არის და ამაში ხედვენ „სოციალურ დემოკრატიის მახლობელ გზას“.

დ. თოფურიძე.

(შემდეგი იქნება)